ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

7 აპრილიდან
„ახალ თაობასთან“ ერთად
„აღდგომა“
ტომი 1
ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშაბათი, 7 აპრილი, 2015 | №80 (6700) | ფასი: 30 თეთრი

# გია მაისაშვილი სიცოცხლისთვის იბრძვის



გვ.4

„თუ შანსი მომეცა, უკვე ვიცი, როგორ შევწირო მთელი ჩემი სიცოცხლე სიყვარულს“

## პანკისი: უხუცესები ვაჰაბიტების წინააღმდეგ

გვ.5



რამზან ბალაკაშვილი და მუსლიმ კუშტანაშვილი

ქისტი მოსახლეობის უმრავლესობა გმობს სირიაში ახალგაზრდების საომრად გაგზავნას

## ჯონდი ბაღათურია: „ჟოკია ბოლოკიები მთავრობაში სხედან“



გვ.4

გვ.3



## თავდაცვის სამინისტროს საიდუმლო დანაყოფებს მკვლელობებთან კავშირი აქვს?

## „ჩეკისტი“ ჯანელიძე თავდაცვის მინისტრად არ უნდა დაენიშნათ“



გვ.5



გვ.2

## ირაკლი სესიაშვილმა შალვა აბულაძე ბრეივიკს შეადარა

## ლალი მოროზკინა სახელმწიფო დაცვის დანიშვნას ითხოვს



გვ.5

## ათონელის რეზიდენციის მშენებლობა დასრულდა, მაგრამ პრეზიდენტს იქ გადასვლა არ სურს



გვ.6





ISSN 1987-9385

ახალი თაობა

# ირაკლი სესიაშვილმა შალვა აბულაძე ბრეივიკს შეადარა

## „ის განზრახ მიდის ადამიანის მკვლელობაზე. განსაკუთრებით აგრესიულია პოლიციელების წინააღმდეგ“

ნათია ხურცილავა



პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიციელის მკვლელობაში ეჭვმიტანილ შალვა აბულაძეზე აცხადებს, რომ არ არის გამორიცხული, საქმე გვქონდეს მკვლელთან, რომელიც უმისამართოდ ისვრის.

***– ბატონო ირაკლი, თქვენ შალვა აბულაძე ბრეივიკს შეადარეთ. რა პარალელს ხედავთ?***

– საქმე გვაქვს არაორდინარულ შემთხვევასთან. ჩვეულებრივ მკვლელთან არ გვაქვს საქმე. შეიძლება, გარკვეული სახით გადაცდომასთანაც გვქონდეს საქმე. ჩვენ ამ ვითარებაში უნდა გავერთიანდეთ და პოზიციების კონსოლიდაცია მოვახდინოთ. საზოგადოებას უნდა დავანახვოთ, რომ პოლიციას გვერდით ვუდგავართ. როდესაც ამ პარალელს ვაკეთებდი, ხაზი გავუსვი იმ გარემოებას, რომ აბულაძე ძალიან საშიში პიროვნება ჩანს, თან ის შეიარაღებულია და ფაქტობრივად უმისამართოდ ისვრის. ერთი დანაშაული ჩადენილი აქვს, წინასწარ იცის, რომ მის მიმართ უმკაცრესი განაჩენი იქნება გამოტანილი. ამ მოცემულობის ანალიზის შემდეგ ვაკეთებ განცხადებას, რომ ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო. პირველ რიგში მოსახლეობას მივმართავ, მოქალაქეებს მინდა მოვუწოდო, რომ რაც შეიძლება ყურადღებით და ფრთხილად იყვნენ და პოლიციასთან ითანამშრომლონ. არ ვიცი, მას ფსიქიკური აშლილობა, დარღვევა აქვს თუ რაიმე მოტივი აქვს, როდესაც დანაშაულს სჩადის, მაგრამ ფაქტია, რომ გეგმავს, მოქმედებს და განზრახ მიდის ადამიანის მკვლელობაზე. განსაკუთრებით აგრესიულია პოლიციელების წინააღმდეგ. სწორედ ამ კონტექსტს ვგულისხმობდი, როდესაც მას ბრეივიკს ვადარებდი. როგორც ჩანს, საქმე არ გვაქვს კონკრეტული მოტივით გამიზნულ მკვლელობასთან.

**ჩვენ არ ვიყავით შეჩვეული დემოკრატიული მმართველობის პირობებში კრიმინალთან ბრძოლას**

***– აბულაძის მხრიდან მიზანმიმართული ქმედება არ იყო პოლიციელის მკვლელობა?***

– ეს გამოძიების საგანია, მე ანალიზის შედეგად ვხედავ, რომ საქმე გვაქვს პიროვნებასთან, რომელიც მზად არის, ნებისმიერ დროს გახსნას ცეცხლი. ამიტომ ვამბობ, რომ ყველამ მაქსიმალური სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ.

***– შალვა აბულაძე შეწყალებულია უდოს კომისიის მიერ. ასევე მას შეწყალების კომისიამ დანაშაულის მეოთხედი ჩამოაკლო. ამაზე რა შეგიძლიათ გვითხრათ?***

– აბულაძის ამნისტირება დანაშაულის მუხლების კვალიფიკაციის მიხედვით არ მომხდარა. მისი ამნისტირება მოხდა ზოგადად, როდესაც სასჯელის სამი მეოთხედი ყველა პატიმარს შეუმცირდა. ამის შემდეგ გავიდა ის შეწყალების კომისიაზე. შეწყალების კომისიამ რითი იხელმძღვანელა, ეს შეწყალების კომისიას უნდა ჰკითხოთ. შეწყალების კომისია პრეზიდენტთან არსებულია და ამაზე კომენტარი ჩემს კომპეტენციას აღემატება.

***– ბატონო ირაკლი, ხშირად ამბობენ, რომ შეწყალებული ადამიანების გარკვეული პროცენტი უკან შებრუნდა, გარკვეული რაოდენობა კვლავ სჩადის დანაშაულს. ნაციონალური მოძრაობა კრიმინალის გაზრდაზე სწორედ ამ კონტექსტში საუბრობს. თქვენ რა არგუმენტი გაქვთ საწინააღმდეგო?***

– ერთი მხრივ ვამბობ, რომ საზოგადოება ძალიან სამართლიანად გვაკრიტიკებს. მოქალაქეები გვეუბნებიან, რომ რატომ შევიწყალეთ და რატომ გამოვუშვით ამდენი ადამიანი ციხიდან, მაგრამ მთელ ამ პროცესს მეორე მხარე აქვს. მეორე მხარე არის სახელმწიფოს მორალური პასუხისმგებლობა. ამ შემთხვევაში სახელმწიფოში ვგულისხმობ, როგორც ხელისუფლებას, ისევე საზოგადოებას. ციხეებში ადამიანებს აწამებდნენ, ძალიან მკაცრ სასჯელს უსჯიდნენ ძალიან მსუბუქი დანაშაულისთვის შეკრებითობის პრინციპიდან გამომდინარე. ამის გაგრძელება იქნებოდა სახელმწიფოსა და საზოგადოების ერთობლივი დანაშაული. ეს შეუძლებელი იყო და ამიტომ ამნისტირება გამოვიყენეთ, მაგრამ მხოლოდ მსუბუქ დანაშაულზე. ამნისტირება არ მომხდარა ყაჩაღობაზე, მკვლელობაზე, ძარცვაზე, გაუპატიურებაზე და ა.შ. ჩვენ ციხეებში პატიმრების რაოდენობის შემცირებით, ბევრი ადამიანი, შეიძლება ითქვას 95 პროცენტზე მეტი, ჩვენ გადავარჩინეთ, ეს ადამიანები საზოგადოებას დავუბრუნეთ. ისინი დღეს რეაბილიტაციას გადიან და არიან ის მოქალაქეები, რომლებიც აგრძელებენ ამ ქვეყანაში ცხოვრებას.

***– ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ იმ ხუთ პროცენტს რა ვუყოთ?***





– რა თქმა უნდა, რისკები არსებობდა, რომ გარკვეული პროცენტი კვლავ მიმართული იქნებოდა დანაშაულისკენ, მაგრამ თუ ყველას ვერ მივცემდით შანსს, ვერ გავიგებდით, ვინ იყო ეს ხუთი პროცენტი. ამას მძიმედ ვიმკით, მაგრამ დანაშაული შეიძლება ჩაიდინოს როგორც ყოფილმა დამნაშავემ, რეციდივისტმა, ასევე ადამიანმა, რომელსაც მთელი ცხოვრების მანძილზე ერთი ადმინისტრაციული ჯარიმაც კი არ ჰქონია. ამდენად, რისკებს წინასწარ ვერავინ განჭვრეტს. ვიღაცები რომ ამბობენ, რატომ არ გაატარა შს სამინისტრომ პრევენციული ღონისძიებებიო, გეტყვით, რომ გაატარა. ყველა მათგანი აღრიცხვაზეა, ყველას აკვირდებოდნენ გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მაგრამ მთელი ცხოვრება ვერ დააკვირდები. ამდენი რესურსი ქვეყანას არ აქვს. რისკები არსებობს და ეს რისკები თანაბრად უნდა გავინაწილოთ. სხვანაირად არ გამოდის. წინააღმდეგ შემთხვევაში იქნება სააკაშვილის მიდგომა, რომელიც ძალიან მარტივია.

***– რას გულისხმობთ?***

– ნულოვან ტოლერანტობას. ნულოვანი ტოლერანტობით შეიძლება უფრო მეტი უსაფრთხოება გვქონოდა საზოგადოებაში, არანაკლები უსაფრთხოება გვაქვს დღეს, მე ვფიქრობ და თან ადამიანური მიდგომა გვაქვს. დამნაშავეები უნდა დავსაჯოთ, მაგრამ დამნაშავე მანამდე არ უნდა დავსაჯოთ, სანამ დანაშაულს არ ჩაიდენს.

***– კრიმინალმა იმატა, ასეთია შეფასებები.***

– ტყუილია, რომ კრიმინალმა იმატა. ჩვენ კრიმინალთან ღია ბრძოლა გამოვაცხადეთ, მაგრამ სამართლიანი ბრძოლა. წინასწარ არ ვიჭერთ და წინასწარ არ ვსჯით. შეიძლება მომავალში ჩაიდინოს რაიმე სახის დანაშაული და ამიტომ დავიჭიროთ, ეს მიუღებელია. ასე არ ხდება. ჩვენ კრიმინალს ვებრძვით კანონის უზენაესობის ფარგლებში. პასუხისგება ხდება დანაშაულის ჩადენისთვის. ეს არის ნორმალური, ცივილიზებული სამყაროსთვის მისაღები. გერმანიასა და საფრანგეთში კრიმინალის დონე გაცილებით მაღალია, ვიდრე საქართველოში. ჩვენ არ ვიყავით შეჩვეული დემოკრატიული მმართველობის პირობებში კრიმინალთან ბრძოლას. საზოგადოება უფრო მკაცრია, ვიდრე ხელისუფლება. საზოგადოება უფრო მკაცრ მიდგომას ითხოვს, ჩვენ კი დემოკრატიულ ღირებულებებს ვთავაზობთ. შეიძლება მოკლევადიან პერიოდში სიმკაცრე ეფექტური იყოს, მაგრამ ეს არ ამოძირკვავს კრიმინალს. სააკაშვილი ხშირად იმეორებს: ჩვენ კრიმინალი დავამარცხეთ. კი არ დაამარცხეს, უფრო გააბოროტეს და სწორედ ამ შედეგებს ვიმკით. ჩვენ სამართლებრივი გზით უნდა ვებრძოლოთ კრიმინალს და ამით დავიცვათ საზოგადოება საფრთხისგან. დაუსჯელი არავინ დარჩება.

# ღარიბაშვილი: „კრიმინალმა გასროლა ვერ უნდა დაგვასწროს“

## პრემიერმა დაჭრილი პოლიციელი მოინახულა

ნათია ხურცილავა

გუშინ, 6 აპრილს, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა დაჭრილი პოლიციელი ვალერიან გრძელიშვილი მოინახულა და ჟურნალისტებთან საგანგებო განცხადებაც გააკეთა.

– მივმართავთ ყველა პოლიციელს, იმოქმედეთ კანონით განსაზღვრულ ფარგლებში და დაიცავით, პირველ რიგში, თქვენი საკუთარი სიცოცხლე, – ასეთია პრემიერ ღარიბაშვილის მოწოდება პოლიციელებისადმი.

პრემიერმა მწუხარება გამოხატა პოლიციელი ბექა მარგიშვილის დაღუპვის გამო და დაღუპულის ოჯახს მიუსამძიმრა.



**ირაკლი ღარიბაშვილი:**

– მის ოჯახს მივუსამძიმრე პირადად. ძალიან მძიმე სანახავი იყო მისი მცირეწლოვანი შვილი, რომელიც ოცნებობდა, რომ მამა გმირი ყოფილიყო. ეს არის ძალიან მძიმე შემთხვევა, ტრაგედიაა ჩვენთვის. მინდა, მთელი გულით მივუსამძიმრო შს სამინისტროს ყველა თანამშრომელს ამ პოლიციელის დაღუპვა. დაჭრილი პოლიციელი, მადლობა ღმერთს, სტაბილურად არის, ოპერაციამ კარგად ჩაიარა. მადლობა ექიმებს, რომ ექვსსაათიანი ოპერაციის შემდეგ შეძლეს მისი გადარჩენა. იმედი მაქვს, მკურნალობის პროცესი სტაბილურად წარიმართება.

პრემიერმა თქვა, რომ მთავრობა მაქსიმალურად დაეხმარება როგორც გარდაცვლილის, ასევე დაჭრილის ოჯახებს.

– სიტყვები არ მყოფნის, როგორ შევაფასო ეს არაადამიანი, რომელმაც ეს სასტიკი დანაშაული ჩაიდინა. გახსოვთ, ბორჯომში ამ ადამიანმა ერთი პიროვნება მოკლა. ეს არის სახელმწიფოს წინააღმდეგ გალაშქრება და ხელის აღმართვა ჩვენი საზოგადოების გამორჩეული წევრების მიმართ, – განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურმა მოუწოდა შს მინისტრს, პროკურატურას, რომ კრიმინალის წინააღმდეგ გააათმაგონ ბრძოლა.

**ირაკლი ღარიბაშვილი:**

– ეს კრიმინალები, რომლებიც გარეთ არიან, მათი ადგილი აქ არ არის. მათი ადგილი არ არის ჩვენს საზოგადოებაში, ჩვენს ხალხში, ჩვენ შორის, მათი ადგილია ციხეში ან სხვაგან. ასე რომ, მე მოვუწოდებ ყველას, მაქსიმალური მობილიზება გააკეთონ. ჩემი მინისტრობის დროს ყოველთვის ვეუბნებოდი ჩემს თანამშრომლებს, რომ ყოველთვის წინ უნდა ვუსწრებდეთ კრიმინალს 2-3 ნაბიჯით და ვერ უნდა დაგვასწროს ვერც ერთმა კრიმინალმა ვერც გასროლა და ვერც ვერაფერი. ასე რომ, ძალიან მძიმე იყო ეს შემთხვევა და იმედი მაქვს, ძალიან მალე დააკავებენ ამ პიროვნებას. წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, პოლიციელებს აქვთ სრული უფლება, მოახდინონ ამ ადამიანის ლიკვიდაცია. ეს უფლება მათ კანონით აქვთ მინიჭებული.

# ლევან იზორია: „ექსპერტიზით დადგინდა, რომ ვარკეთილში და ბორჯომში პოლიციელებს ერთი და იგივე იარაღი ესროლეს“



შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ლევან იზორიას განცხადებით, ეჭვმიტანილ შალვა აბულაძეს, თბილისში მომხდარი მკვლელობის გარდა, წარსულში ბორჯომში პოლიციელის მკვლელობაშიც ედება ბრალი. მისი განცხადებითვე, ეს ექსპერტიზამაც დაადასტურა.

**ლევან იზორია:**

– ამოღებული ვაზნების ექსპერტიზა განვახორციელეთ და დადგინდა, რომ ეს ერთი და იმავე იარაღიდან განხორციელებული გასროლაა. მათ შორის ბორჯომში, გახსოვთ, რომ ამავე იარაღით პოლიციელი იქნა მოკლული. ვიცით პიროვნება, მისი ვინაობა დადგენილია – ის შალვა აბულაძეა. მიმდინარეობს ოპერატიული მუშაობა იმისთვის, რომ მისი დაკავება მოხდეს.

შს მინისტრის მოადგილემ ასევე აღნიშნა, რომ მათ დამნაშავის დაჭერის შესაძლებლობა ჰქონდათ, თუმცა ორმხრივი სროლის შედეგად შალვა აბულაძემ კვლავ მიმალვა შეძლო.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავდაცვის სამინისტროს საიდუმლო დანაყოფებს მკვლელობებთან კავშირი აქვს?

## გია უდესიანი: „დანაყოფების მიზანი პარტიზანული ბრძოლები იყო"

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოში წლების მანძილზე საუბრობდნენ იმაზე, რომ ყველა ძალოვან სტრუქტურას გასაიდუმლოებული დანაყოფი ჰყავდა, რომელთაც სხვადასხვა ბინძურ დავალებებს ასრულებინებდნენ.

ამ ინფორმაციას ყოფილი ხელისუფლება ყოველთვის უარყოფდა. რამდენიმე დღის წინ ყოფილმა მაღალჩინოსანმა გია უდესიანმა დაადასტურა, რომ ასეთი დანაყოფები მართლაც არსებობდა. „რუსთავი 2"-თან საუბარში მან ისიც აღიარა, რომ საიდუმლო დანაყოფს სწორედ ის მეთაურობდა. დანაყოფი თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში იყო.

**აი, რა თქვა გია უდესიანმა:**

– ამ დანაყოფში შედიოდა 400-450 კაცი. ყველა იყო ავღანეთ, ერაყ და კოსოვო გავლილი ვეტერანი. ეს კეთდებოდა ძალიან ჩუმად, გამომდინარე იქიდან, რომ აგრესორი 20-30 კილომეტრში დგას დედაქალაქიდან. ამ დანაყოფს ჰქონდა თავისი დანიშნულება. ამ დანაყოფს ჰქონდა სერიოზული შეიარაღება, ეს დანაყოფი გადიოდა მომზადებას ერთ-ერთ ბაზაზე, მას ამზადებდნენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და უშიშროების ინსტრუქტორები. მეთაური ვიყავი მე. ამ დანაყოფის 80% იყო სამაჩაბლოდან, ყველა სახლ-კარ დამწვარი, მოტივირებული ღირსეული ქართველი მებრძოლი ვაჟკაცი. მისი ფუნქცია იყო, მტრის შემოსვლის დროს ჩვენს საჯარისო ფორმირებებთან ერთად ემოქმედა პარტიზანული ბრძოლებით, ქუჩის ბრძოლებით და დივერსიული საქმიანობა. თქვენ რა გინდოდათ, რომ გამოვსულიყავი და ეს საიდუმლო ინფორმაცია, არა ბატონო, ესენი არ არიან ზონდერებიო, მელაპარაკა?

თავდაცვის სამინისტროს ბაზაზე საიდუმლო დანაყოფის არსებობას ადასტურებს ირაკლი ალასანიაც. ოღონდ მისთვის უცნობია, ვინ ხელმძღვანელობდა ამ ფორმირებას.

**ირაკლი ალასანია:**

– ოპოზიციაში ყოფნის დროს მე ვსაუბრობდი ამ დაჯგუფებებზე. ისინი განსაკუთრებით მრავლად იყო დასავლეთ საქართველოში, სადაც მე ვიყავი არჩევნების დროს. იქმნებოდა სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხე, რადგან საზოგადოებას არ ჰქონდა ინფორმაცია, თუ რისთვის იყო ეს დაჯგუფებები შექმნილი. ჩვენ დიდი ძალისხმევა გავწიეთ ამ დაპირისპირების თავიდან ასარიდებლად. ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, შს სამინისტრომ მოიძია ინფორმაცია და ამ დაჯგუფებების არსებობა დადასტურდა. ჩემი მინისტრობის დროს ასეთი ქვედანაყოფები აღარ ყოფილან. ხელისუფლების ცვლილების შემდეგ საქმე აღიძრა პროკურატურაში და პროკურატურას ამის შესახებ ყველა მასალა აქვს წაღებული, ამიტომ ჩემთვის უცნობია, ვინ ხელმძღვანელობდა ამ დანაყოფებს.

* * *

ყოფილი პოლიტპატიმარი, სამხედრო ექსპერტი ტრისტან წითელაშვილი საიდუმლო დანაყოფების შესახებ დიდი ხანია საუბრობს. ამის შესახებ მას განცხადებები „ახალ თაობასთან" საუბარშიც არაერთხელ გაუკეთებია. ამდენად, მისთვის მოულოდნელი არ ყოფილა უდესიანის „აღსარება".

რა დავალებებს ასრულებდნენ საიდუმლო დანაყოფის წევრები სინამდვილეში, დარჩნენ თუ არა ისინი ძალოვან სტრუქტურებში, რა აკავშირებთ მათ გახმაურებულ მკვლელობებთან? – ამის შესახებ წითელაშვილი „ახალ თაობას" ესაუბრება.



**ტრისტან წითელაშვილი:**

– საიდუმლო დანაყოფების არსებობის შესახებ დიდი ხანია ვსაუბრობ. სულ იმის მტკიცებაში ვარ, რომ ასეთი დანაყოფები თავდაცვის სამინისტროს ბაზაზეა შექმნილი. ხელთ მაქვს ამ საიდუმლო დანაყოფებზე გაცემული იარაღების ნუსხა, ეს იარაღი არც აღრიცხულია და არც რეგისტრირებული. არც ამ დანაყოფების წევრები არიან სადმე რეგისტრირებული.

***– რა იყო ამ საიდუმლო დანაყოფების ფუნქცია? უდესიანი ამტკიცებს, რომ მათ მტერთან პარტიზანულად უნდა ებრძოლათ.***

– არავითარი პარტიზანული მოძრაობა, არავითარი ბრძოლა ოკუპანტების წინააღმდეგ. მათ მოვალეობაში ეს არ შედიოდა. მეტსაც გეტყვით, ისინი ამ ფუნქციას ვერ შეასრულებდნენ.

***– რატომ ვერ შეასრულებდნენ?***

– იმიტომ, რომ საქართველოს არ შესწევს ძალა, ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებები აწარმოოს. ამის გაკეთება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ საერთაშორისო მხარდაჭერა გვექნება. აქედან გამომდინარე, ეს დანაყოფები პარტიზანული ბრძოლისთვის არ გამოდგებოდნენ. მათ სულ სხვა დანიშნულება ჰქონდათ.

***– რა დანიშნულება ჰქონდათ?***

– ამ დანაყოფებს სააკაშვილი თავის ოპონენტების წინააღმდეგ საბრძოლველად იყენებდა. ისინი ყველა ბინძურ და შავ საქმეს აკეთებდნენ. ატერორებდნენ ბიზნესმენებს. შეკვეთილი მკვლელობებიც მათი ხელით ხორციელდებოდა.

***– რასაც თქვენ ამბობთ, ძალიან მძიმე ბრალდებაა.***

– მე ვამბობ სიმართლეს. ამ დანაყოფებში მობილიზებული იყვნენ მკვლელები. ყველაზე არ ვამბობ, მაგრამ უმეტესობა ყველაფერზე წამსვლელი ადამიანი იყო.

***– ზემოთ თქვით, რომ ამ ხალხს დაურიგდა იარაღი. თქვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ეს იარაღი დაბრუნებულია თუ ისევ მათ ხელშია?***

– ეს იარაღი უკან დაბრუნებული არ არის. იარაღი არც რეგისტრირებულია. ამიტომაც არის, რომ შსს-ს უჭირს გახმაურებული მკვლელობების გახსნა. მკვლელობებს ამ იარაღით სჩადიან.

***– ამბობთ, თავდაცვის სამინისტროს ბაზაზე მყოფი საიდუმლო ქვედანაყოფი ოპონენტების წინააღმდეგ საბრძოლველად გამოიყენებოდაო. ყოფილ ხელისუფლებას ჰყავდა კუდი, სოდი, სამხედრო პოლიცია. ისინი მშვენივრად უსწორდებოდნენ ოპონენტებს და რა ჯანდაბად უნდოდათ თავდაცვის სამინისტროში საიდუმლო დანაყოფის შექმნა?***

– როგორ არ სჭირდებოდათ. ბინძურ საქმეებს კუდს, სოდს და სხვა ოფიციალურ სტრუქტურებს ვერ შეასრულებინებდნენ.

***– რატომ ვერ შეასრულებინებდნენ. არაერთ გახმაურებულ დანაშაულში ედებათ მათ ბრალი.***

– დანაშაულის ჩადენა არც მაგათ აკლდათ, მაგრამ ყველა ბინძურ საქმეს ისინი ვერ შეასრულებდნენ. ოფიციალური დანაყოფების წევრების იარაღი რეგისტრირებულია. შესაბამისად, მათ მიერ ჩადენილი დანაშაული უფრო იოლად გაიხსნებოდა. ამიტომ იყო გასაიდუმლოებული დანაყოფები საჭირო. ამ დანაყოფების არსებობა მხოლოდ რამდენიმე პიროვნებამ იცოდა.

***– კონკრეტულად ვინ იყო საქმის კურსში?***

– მიხეილ სააკაშვილი, ვანო მერაბიშვილი, ბაჩანა ახალაია. საქმის კურსში კიდევ რამდენიმე მაღალჩინოსანი იყო.

### ტრისტან წითელაშვილი: „საქართველოში ტერორი გაგრძელდება"

***– გვითხარით, რომ იცით ამ დანაყოფებში გაწევრიანებული ხალხის ვინაობა. სად არის ახლა ეს ხალხი?***

– ეს ადამიანები ხელისუფლების შეცვლის შემდეგ გაიფანტნენ. ზოგი უკრაინაში წავიდა და იქ სააკაშვილის მიერ შექმნილ შტაბს აფარებს თავს. ზოგი ევროპაში წავიდა.

***– საქართველოში დარჩა ვინმე?***

– საკმაოდ მრავლად დარჩნენ.

***– რას საქმიანობენ ისინი?***

– ზოგი ჩუმად არის და საჭირო დროს ელოდება. მათი ნაწილი თავდაცვის სამინისტროშია ჩანერგილი, ნაწილი კი შსს-ში მუშაობს. ეს ხალხი მზადაა, ყოფილი პატრონების დავალებები შეასრულოს, ასრულებენ კიდეც ამ დავალებებს.

***– რა დავალებებზე საუბრობთ?***

– ქვეყანაში რა გახმაურებული მკვლელობაც მოხდა, ყველაფრის უკან ეგენი დგანან. სჩადიან სხვადასხვა დანაშაულს. ამით ქვეყანაში ცუდ ფონს ქმნიან. ისინი ქვეყნის წინააღმდეგ ტერორს მიმართავენ. ბესო ხარძიანის და იური ვაზაგაშვილის მკვლელობები ამ კუთხით უნდა გამოიძიონ. პოლიციელების მკვლელობებსაც სხვა სუნი უდის. პოლიციელებს იმიტომ კლავენ, რომ შსს დემორალიზებული გახადონ. ხოცავენ იმ ხალხს, ვინც სამართლიანობისთვის იბრძვის. ქვეყანაში შიშს თესავენ.

***– თქვენ ამბობთ, რომ გაქვთ ამ ხალხის სია. ხელისუფლებამ არ იცის ამ ადამიანების შესახებ?***

– როგორ არ იციან. პირადად მე არაერთხელ გადავეცი ეს სია სათანადო სამსახურებს.

***– მათგან რეაგირება არ ყოფილა?***

– არა.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ ხელისუფლება არის უნიათო! არაპროფესიონალებით გაივსო მთელი რიგი სტრუქტურები. ამიტომაც უჭირთ ამ დამნაშავეებთან ბრძოლა. ამ მიმართულებით თავდაცვის სამინისტროში ოდნავი წინსვლა შეინიშნება.

***– რა მხრივ შეინიშნება წინსვლა?***

– უწყების გენინსპექციამ დამნაშავე სარდლების საქმის შესწავლა დაიწყო. რამდენიმე გაათავისუფლა კიდევაც. მარტო გათავისუფლება საკმარისი არ არის. ამ ხალხის იზოლირება უნდა მოხდეს. სანამ მათი იზოლირება არ მოხდება, ყველანი საფრთხის ქვეშ ვიქნებით. წინ ბევრი უსიამოვნება გველოდება.

***– რა უსიამოვნებები?***

– თუნდაც შეკვეთილი მკვლელობები. სანამ დამნაშავეების იზოლირება არ მოხდება, ქვეყანა მუდმივი ტერორის ქვეშ იქნება.

***– ისევ საიდუმლო ქვედანაყოფს დავუბრუნდები. რამდენი ასეთი ქვედანაყოფი არსებობდა ქვეყანაში?***

– რამდენიმე ქვედანაყოფი არსებობდა. ყველა მათგანს მეთაურობდა უდესიანი. მაგას ექვემდებარებოდა ის დანაყოფიც, რომლის წევრებიც საზღვარგარეთ გაქცეულ ხალხს ატერორებდნენ.

***– რატომ შეარჩიეს ამ დანაყოფების მეთაურად გია უდესიანი? დიდი სამხედრო გამოცდილება ჰქონდა?***

– არანაირი გამოცდილება არ ჰქონია. ეგ იყო გონებაშეზღუდული ადამიანი, რომელიც სააკაშვილმა თავისი ბინძური საქმეების შესასრულებლად გამოიყენა. მის დაქვემდებარებაში მყოფი ხალხის მომზადებას სამხედრო გამოცდილება არ სჭირდებოდა. მათ სხვა ტიპის დავალებების შესრულება ევალებოდათ. სამხედრო გამოცდილებას ისინი გია უდესიანისგან ვერ მიიღებდნენ, რადგან მას ამის გამოცდილება არ ჰქონდა.

***– უდესიანი ხომ იბრძოდა აფხაზეთში?***

– აფხაზეთში ბევრი იბრძოდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ სამხედრო გამოცდილება აქვთ.

ვსარგებლობ შემთხვევით და თქვენი გაზეთით კიდევ ერთხელ მივმართავ ხელისუფლებას, სასწრაფოდ გამოავლინეთ ძალოვან სტრუქტურებში ჩანერგილი ადამიანები. დაუყოვნებლივ მოახდინეთ დამნაშავეების გამოვლენა და იზოლირება. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოში ტერორი გაგრძელდება. ხალხს უკვე შიში გაუჩნდა.

# ბიძინა ივანიშვილი: „პარლამენტს კომპეტენტურობა აკლია"

არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქე"-ს დამფუძნებლის, ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, პარლამენტის ოპოზიცია ქვეყნის განვითარებას ხელს ვერ შეუწყობს.

ამის შესახებ ივანიშვილმა გადაცემა „კვირის 20 30"-ში განაცხადა.

მისი თქმითვე, პრლამენტში 40%-მდეა ოპოზიცია, უმრავლესობა კი 60%-ზე ნაკლებია, რაც დემოკრატიის განვითარებისათვის კარგი ბალანსია.

ივანიშვილმა ასევე, აღნიშნა, რომ „ნაციონალური მოძრაობა" ქვეყნის განვითარებაზე არ ფიქრობს.

**ბიძინა ივანიშვილი:**

– ძალიან კარგია, რომ საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადავედით. ის, რომ დებატების რაოდენობა ცოტაა და საქმეზე არ მსჯელობენ, ამას თავისი მიზეზები აქვს. თეორიულად თუ შევხედავთ, იდეალური ცხოვრებაა დღეს პარლამენტში. 40%-მდეა ოპოზიცია, უმრავლესობა 60%-ზე ნაკლებია, შესაბამისად, დემოკრატიის განვითარებისათვის ეს კარგი ბალანსია და ამ პროცესებმა ეს უნდა მოიტანონ. რეალურად, ოპოზიციისგან დღეს რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა" წარმოადგენს, საქმეზე მსჯელობა და ქვეყნის სწორი გზით წაყვანაზე მსჯელობა მიდის ძალიან მცირე დოზით ან არ მიდის საერთოდ. ეს ის ხალხია, რომლებიც ყოფილი პარლამენტარები არიან და ისინი ქვეყნის განვითარებაზე არ ფიქრობენ, ისინი ოპონირებაზე ფიქრობენ. ძალიან ხშირად ისინი ქვეყნის ოპონენტებად გვევლინებიან. რეალურად, დღეს პარლამენტს როგორი ოპოზიციაც ჰყავს ქვეყნის განვითარებას ხელს ვერ შეუწყობს.

„მოქალაქე"-ს დამფუძნებლმა საპარლამენტო უმრავლესობის გამოცდილებაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ



მიუხედავად იმისა, რომ მათ კომპეტენციის ნაკლებობა აქვთ, მათზე ცუდს მაინც ვერ იტყვის.

– კომპეტენციის პრობლემა არსებობს და გამოცდილება მაქვს მხედველობაში. მაგრამ მე ვერც ერთ უმრავლესობის წარმომადგენელზე დღეს ცუდს ვერ ვიტყვი. რამეთუ თქვენ გახსოვთ, როგორ დროს, რანაირად ჩავატარეთ ჩვენ არჩევნები. ჩვენი პარლამენტის წარმომადგენლები ძალიან საყვარელი და ცნობილი ადამიანები არიან თავის საქმეში, ბევრი კარგი რამ გააკეთეს. კომპეტენტურობის პრობლემა რა თქმა უნდა, არსებობს და ამაში ყველაზე დიდი ბრალეულობა ალბათ მე მაქვს, მაგრამ სხვა გამოსავალი იქ არ იყო, – განაცხადა ყოფილმა პრემიერმა.

ბიძინა ივანიშვილი მიიჩნევს, რომ შემდეგი პარლამენტი მეტი პროფესიონალებით უნდა იყოს დაკომპლექტებული.

– თუმცა, ამათ გარკვეული გამოცდილება შეიძინეს და უფრო აქტიურები იქნებიან. ახალ პარლამენტს ალბათ კიდევ უფრო მეტი პროფესიონალი დასჭირდება და უფრო ხარისხიანი მუშაობა მოუწევს, – განაცხადა ივანიშვილმა.

# რიჩარდ ნორლანდი ქართველ პოლიცილებს დახმარებას ჰპირდება



საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის რიჩარდ ნორლანდის განცხადებით, პოლიციელის მკვლელობა საშინელი ტრაგედიაა, როგორც ძალოვანი უწყებისთვის, ისე გარდაცვლილის ოჯახისთვის.

რაც შეეხება მეორე პოლიციელს, რომელიც დაჭრილია, ელჩი მას მალე გამოჯანმრთელებას უსურვებს.

ნორლანდმა ასევე აღნიშნა, რომ თუ ძალოვან უწყებებს დანაშაულის აღკვეთისთვის აშშ-ს დახმარება დასჭირდებათ, აშშ მათ დაეხმარება.

რიჩარდ ნორლანდი:

– ძალოვანები ცდილობენ, ორგანიზებული დანაშაული არ დაუშვან და თუ ამაში ჩვენი დახმარება დასჭირდებათ, დავეხმარებით. თუ უნდა გადაიხედოს პოლიციელთა უსაფრთხოების დაცვის საკითხი, ეს გამოძიების დასრულების შემდეგ უნდა მოხდეს.

**ნიუსპრესი**

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# გია მაისაშვილი სიცოცხლისთვის იბრძვის

## „თუ შანსი მომეცა, უკვე ვიცი, როგორ შევწირო მთელი ჩემი სიცოცხლე სიყვარულს“

პოლიტიკოსმა გია მაისაშვილმა ფეისბუქის მეშვეობით საზოგადოებას იმ პრობლემების შესახებ აცნობა, რომლებიც მის ჯანმრთელობას შეეხო.

**გია მაისაშვილი:**

„ბევრი გულშემატკივარი მწერს ჩემი უცაბედი ავადმყოფობის გარემოების გამო. ამდენ ხანს არ მქონდა ენერგია თუნდაც მცირედის წერისა, ამ წუთასაც თითქმის მთელი ენერგია მილეული მაქვს, მაგრამ მაინც მსურს მოყვარულ ადამიანებს გამოვესაუბრო, ვიცი, ეს ძალას შემმატებს.

19 მარტს ისტამბულში აღიარებულმა დასტაქარმა მეჩმაჯინ პამირმა და მისმა ჯგუფმა გამიკეთეს თავის ტვინის სიმსივნის ოპერაცია. 5 დღით ადრე გოგიტა გეგელაშვილის მეთაურობით საქართველოში კომპეტენტური დიაგნოზი იქნა დასმული მას შემდეგ, რაც სამი კვირის განმავლობაში მქონდა უმძიმესი თავის ტკივილები და სრული უენერგიობა. დიაგნოზი მოითხოვდა უსწრაფეს ქმედებას. იმის არ იყოს, თუ რამეა მყრალი, პიპინია ბიძია, აფთარიაო, ისეა – ამ ტიპის სიმსივნე ყველაზე საშიში სიმსივნეა, რაც კი არსებობს.

იმედად ისღა რჩებოდა, რომ ადგილი, სადაც 3,5 სანტიმეტრიანი სიმსივნე იყო მოთავსებული, ყველაზე მოსახერხებულ ადგილზე იყო ქირურგებისთვის სამუშაოდ და წარმატებული ოპერაციის შემდეგ იქნა სრულად მოკვეთილი.

ჩემი განწყობა წინასაოპერაციოდ იყო უაღრესად მშვიდი და ოპტიმისტური, ერთი სული მქონდა, სანამ ოპერაცია დაიწყებოდა.

მძიმე და დამქანცველი ოპერაციის შემდეგ აღდგენა სწრაფად წარიმართა. დიდი როლი შეასრულა იმან, რომ ჩემი სხეული, გარდა ამ უბედურებისა, აღმოჩნდა სრულიად ჯანმრთელი და ბრძოლისუნარიანი.“

* * *

ოპერაციიდან ერთი კვირის შემდეგ გია მაისაშვილს აცნობეს, რომ ვითარება იმაზე რთული აღმოჩნდა, ვიდრე ვარაუდობდნენ..

**გია მაისაშვილი:**

„ოპერაციის ერთი კვირის თავზე მივიღეთ ცუდი ამბავი. ბიოფსიის შედეგის თანახმად, სიმსივნე მეოთხე სტადიური აღმოჩნდა. ჩვენ ყველანი მოველოდით სახლში გამოშვებას და მივიღეთ ექიმის ვერდიქტი, რომ მეოთხე სტადიის სიმსივნის გამო, საჭიროა თვენახევრიანი აგრესიული კიმო თერაპია და რადიაცია, ორივე ერთობლივად, რათა ვებრძოლოთ სიმსივნის სწრაფ ზრდას. საჭიროა 30 სეანსი რადიაციის და თვენახევარი მძიმე ქიმია, რაც ენერგიას სრულიად აცლის კაცს. ამავე დროს, ყოველკვირეულად იღებენ სისხლის ანალიზს, რათა დარწმუნდნენ ორგანიზმის არდანგრევაში ქიმიასთან ბრძოლის შედეგად. თვენახევრიანი ინტენსიური რადიაცია/კიმო თერაპიის შემდეგ, მოხდება ერთთვიანი დასვენება და შემდეგ 11 თვის



მანძილზე უკვე მხოლოდ თვეში ერთი კვირის მანძილზე კიმო თერაპია.

მძიმეა ისტამბულში, შენს ქვეყანას მოშორებული ამ უმძიმეს ომში ყოფნა. ჩემი ექიმები მაიმედებენ, რომ თუკი ვინმეს აქვს ამ ომში გამარჯვების შანსი, შენისთანა ჯანსაღი ორგანიზმის პატრონსო და მთავარი მაინც შენი სულიერი შემართებააო, რაც, ჩემდა უნებურად, თავისით შეიცვალა.

სიცოცხლეს და ცხოვრებას სულ სხვა აზრი მიეცა, ყველაფერი გამკაფიოვდა, ვიცი ზუსტად, რაც მინდა. ჩემი სული აღსავსეა მადლიერების განცდით ჩემი ოჯახის, ჩემი მეგობრების, ადამიანების მიმართ, რომლებსაც არ ევალებოდათ ასე გულთან ახლოს მიტანა ამ წუხილის. ბედნიერებაა, როცა ამდენ ადამიანს ასე უყვარხარ.

წინ დიდი ბრძოლაა, ამ ბრძოლაში დათმობას მე არ ვაპირებ, ამდენი მოყვარული ადამიანის დატოვებას. ისევ სიმსივნემ უნდა დათმოს დასათმობი.

სიცოცხლეს გაუმარჯოს და უფრო მეტად მართალ სიცოცხლეს, სიყვარულით აღსავსეს. თუ შანსი მომეცა, უკვე ვიცი, როგორ შევწირო მთელი ჩემი სიცოცხლე სიყვარულს. მადლობა ყველას, სიყვარულის ძალა ყოფილა ყოვლის დამძლევი – როცა სიცოცხლე ასე ნავარდობს, სიკვდილის ყველა კარი ჩარაზეთ!!!

ხო მართლა, ქირურგმა მითხრა, როგორც კი დანა დაგადეთ, მარცხენა თვალიდან ცრემლი გადმოგვარდაო და მერე თურმე ძილში მზეო თიბათვისას ვლოცულობდი, ჩემი და და ჩემი მეგობარი რომ შემოვიდნენ საოპერაციოში.

ექიმებმა ჯორჯ ბეი გურჯისტანი შემარქვეს.

სიცოცხლეს მოუფრთხილდით. აბა, ღმერთი იყოს ყველა თქვენგანის მფარველი!

ვერ გავბედე ჩემი გადახოტრილი თავის ჩვენება.“

# ჯონდი ბაღათურია: „ჯოკია ბოდოკიები მთავრობაში სხედან“

## „მაღალჩინოსნები ინვესტორებს ბლოკავენ“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში შექმნილ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებას „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია აფასებს.

***– ბატონო ჯონდი, ყველა კუთხიდან ისმის, რომ ქვეყანაში საკმაოდ მძიმე ეკონომიკური ფონია. რას ფიქრობთ თქვენ, რა ხდება?***

– დღეს ჩვენ სახეზე გვაქვს ეკონომიკური კრიზისი, რამაც ასევე შექმნა უმძიმესი სოციალური ფონი. პრაქტიკულად, სოციალური კოლაფსის წინაშე ვდგავართ. ეს განაპირობა ხელისუფლების უუნარობამ, კორუფციამ და სიხარბემ! რატომ ჩამოვთვალე ეს სამი ძირითადი ფაქტორი...

***– რატომ?***

– სწორედ მათმა სიხარბემ განაპირობა ის, რომ უზარმაზარი თანხები იხარჯება ჯიპების შესყიდვაზე, პრემიების გამოწერაზე, მივლინებებზე, სეირნობებზე და ასე შემდეგ. რომ უყურებ ამათ საქციელს, უნახავმა რა ნახაო, პირველი ეგ გახსენდება. რაც შეეხება კორუფციას, ჯოკია ბოდოკიასნაირი ჩინოვნიკები დღეს ხელისუფლებაში მრავლად არიან. მასზე გაცილებით მაღლა მდგომნი, მათ შორის მინისტრებიც.

***– ამით რისი თქმა გსურთ?***

– ანუ კორუფციამ მთლიანად მოიცვა ჯიპებს და პრემიებს დახარბებული ხელისუფლების სისტემა. რაში იღებდა ბოდოკია ფულს? ბიზნესმენს ჰქონდა სურვილი, რამდენიმე მილიონი დაეხარჯა, შეექმნა წარმოება, რის შედეგადაც სამუშაო ადგილები შეიქმნებოდა, ბიუჯეტში გადასახადი შევიდოდა. ნაცვლად იმისა, რომ ხელი შეეწყო, პირიქით, ხელს უშლიდა, უარს ეუბნებოდა და სანაცვლოდ ფულს სთხოვდა, საკმაოდ დიდ წილს. ზუსტად იგივე გრძელდება დღეს მერიაში, მერიის ჩინოსნები და სხვა უწყების ჩინოსნებიც, მათ შორის ეკონომიკის სამინისტროში, უარს ეუბნებიან ადამიანებს ნებართვაზე თითიდან გამოწოვილი მიზეზებით. მე ვამზადებ მასა-



ლებს, რომელთაც მომავალ კვირაში გამოვაქვეყნებ. ახლა მძიმე კვირაა და არ მინდა ამ თემებზე საუბარი. პირდაპირ დოკუმენტურ მასალებს გამოვაქვეყნებ, მიმოწერებს, ჩინოსნების მიერ გაცემულ პასუხებს ბიზნესმენებისთვის.

***– რას გულისხმობთ, იქნებ დააკონკრეტდეთ? ბიზნესმენებს არ აძლევენ საქმიანობის საშუალებას?***

– დიახ. ზუსტად ბოდოკიას ანალოგებია. ბიზნესმენი ამბობს, მე აქ ამის გაკეთება მინდა და რაღაც აბსტრაქტული მიზეზებით მათ ეუბნებიან უარს. 30-40 მილიონის მაგალითი შემიძლია მოვიყვანო, რა მტკიცებულებებიც მე მოვიპოვე.

***– რით არის ეს უარი მოტივირებული? რატომ არ აძლევენ ბიზნესმენებს თანხების ჩადების საშუალებას?***

– უკიდურესად სულელური პასუხებია. არანაირი არგუმენტი და მოტივაცია ამას არ აქვს. უბრალოდ, პასუხის ქვეტექსტში ამოიკითხავთ, რომ იცი რა, თვალი უნდა ჩამიპაჭუნო და წილი უნდა გადამიხადო. პირდაპირ ქრთამს ითხოვენ ნებართვების აღებისას. ზუსტად ერთი ერთში ჯოკია ბოდოკიას ანალოგია.

***– თქვენ მერიასთან ერთად ეკონომიკის სამინისტროც ახსენეთ....***

– დიახ, ეკონომიკის სამინისტროს ჩინოსნებიც ანალოგიური ქმედებებით არიან დაკავებულნი. თუმცა მე არ ვფიქრობ, რომ ეკონომიკის მინისტრი ამის თანამონაწილეა. მე დადებითად ვარ კვირიკაშვილის მიმართ განწყობილი, მიმაჩნია, რომ ის წესიერი კაცია. კვალიფიციური ადამიანიც არის, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ მის ქვევით ჩინოსნებზე კონტროლი უჭირს. შესაძლოა, არ ეძლევა შესაძლებლობა, რომ სიტუაციები აკონტროლოს. ვიმეორებ, პირდაპირ დოკუმენტები მაქვს, სადაც ხელს აწერენ მაღალჩინოსნები, რომლებიც ბლოკავენ პოტენციური ინვესტორების ეკონომიკურ აქტიურობას.

**ხელისუფლებამ ამ ორ წელიწად-ნახევარში მოასწრო ისე გარყვნილიყო შიგნიდან, რომ მან დაკარგა რაიმე ტიპის რეფორმის განხორციელების მორალური და ინტელექტუალური რესურსი**

***– საუბარია, რომ უცხოელი ინვესტორების შემოდინებამაც საგრძნობლად იკლო. ბევრი ამას კრიმინოგენური ფონის გამწვავებას უკავშირებს.***

– კარგია, რომ ეს მკითხეთ. არავითარი კრიმინოგენური ფონის გამწვავება ჩვენ არ გვაქვს!

***– აბა, რა ჰქვია ამას?***

– ჩვენ, უბრალოდ, გვაქვს ვითარება, როცა ჩადენილი კრიმინალი კარგად შუქდება. ეს ცუდი არ არის, ოღონდ ნუ შევაფასებთ ისე, რომ ჩადენილი კრიმინალის რაოდენობამ იმატა. უბრალოდ, აქ ერთი ნიუანსია, რომ გაჩნდა ახალი ტიპის კრიმინალი, ეს არის შეკვეთილი მკვლელობები. მათ უკვეთავენ ძველი ან ახალი მაღალჩინოსნები იმისათვის, რომ შეინარჩუნონ ნაქურდალი ან მიტაცებული ქონება. როგორიც იყო ბესო ხარძიანის მაგალითი. უცხოელი ინვესტორები კი არ შემოდიან სწორედ იმ მიზეზით, რაც ზემოთ დავასახელე. პირდაპირ ქრთამს და წილებს ითხოვენ! ჯოკია ბოდოკიები პირდაპირ მთავრობაში სხედან.

***– მინისტრებს გულისხმობთ?***

– დიახ, რამდენიმე მინისტრი ვიცი, რომელიც ჯოკია ბოდოკიაა პირდაპირ, იმიტომ, რომ სანამ არ დაადგენს, მისი წილი რამდენია, მანამდე თითს არ გაანძრევს! რამდენიმე მსხვილი ინვესტიცია ვიცი, რომელიც დაიბლოკა ქართულ ეკონომიკაში. პასუხი არ გასცეს ინვესტორს და ის მიხვდა, რომ უნდა წასულიყო. ერთადერთი უწყება, რომელიც შექმნილ ფონზე შედარებით უკეთესად მუშაობს, არის შინაგან საქმეთა სამინისტრო!

***– თქვენ ასე ფიქრობთ?***

– ვფიქრობ არა, ასეა! პოლიციელები იქცევიან ძალიან კარგად, ზრდილობიანად. ისინი არ ჩაგრავენ მოქალაქეებს. გამონაკლისი აქაც არის, მაგრამ შედარებაც არ შეიძლება, ალბათ ასჯერ ნაკლები, ვიდრე წინა ხელისუფლების დროს იყო. პოლიციის მუშაობის ეფექტურობა ნამდვილად არ შემცირებულა. უბრალოდ, ნაციონალური მოძრაობა უბიძგებს ხელისუფლებას სისასტიკისკენ, რომ მერე თავისი ნამოქმედარი გაამართლოს. პოლიციელების მკვლელობაში ეჭვმიტანილ პირზე რომ ამბობენ, ამნისტიით გათავისუფლდაო, ტყუილია?!

***– რა არის ტყუილი? ხომ გარეთ არის?***

– ეს პირი ამნისტიით არ გათავისუფლებულა, გამოვიდა უდოთი, რაც კანონით ეკუთვნოდა. უდოს კომისიაში ფოკუსნიკები კი არ სხედან, წინასწარ განსაზღვრონ, ვინ ჩაიდენს ისევ დანაშაულს და ვინ არა. შესაძლოა მსგავსი დანაშაული ისეთმა პირმა ჩაიდინოს, რომელიც საერთოდ არ ყოფილა პატიმრობაში. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ უდო არ გამოიყენო? ამნისტია არ გამოიყენო? ან შეწყალება არ გამოიყენო?! მას სამუდამო არ ჰქონდა მისჯილი, ადრე თუ გვიან მაინც გამოვიდოდა და რა მერე ვერ ჩაიდენდა დანაშაულს?! ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ არსებობს წესები და კანონები, რომლებიც არეგულირებენ პატიმრის ცხოვრებას პენიტენციალურ დაწესებულებაში და შემდგომში მის ვადაზე ადრე გათავისუფლებას.

***– ე.ი. ხელისუფლებას არ აკრიტიკებთ ამნისტიის გამო?***

– მე ხელისუფლების მიმართ ძალიან კრიტიკულად ვარ განწყობილი, მაგრამ ამნისტია ძალიან სწორად განახორციელა. სადაც არ ტყუის, იქ ნუ გავამტყუნებთ. ჩვენ მათ ბრალი უნდა დავდოთ სიხარბეში, ხალხის ფულს რომ ითვისებს და საკუთარი სიამოვნებისთვის ხარჯავს. კორუფციაში უნდა ვამხილოთ, რამაც ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია. ხოლო ის, რომ ამნისტიის ბრალია ის, რაც ქვეყანაში ხდება, არის ნაციონალების ძველი მარგინალიზებული სიმღერა და ამას ბანი არ უნდა მივცეთ. მე პრეტენზიები უფრო სხვა მისამართით მაქვს.

***– ვისი მისამართით?***

– აი, ამ ჯიპებს დახარბებული ჩინოსნების. საქართველოს ნამდვილად აქვს მომავალი, ოღონდ მათ გარეშე. ჩვენ აუცილებლად გვჭირდება ხელისუფლების ცვლილება. ხელისუფლებამ ამ ორ წელიწადნახევარში მოასწრო ისე გარყვნილიყო შიგნიდან, რომ მან დაკარგა რაიმე ტიპის რეფორმის განხორციელების მორალური და ინტელექტუალური რესურსი. მით უმეტეს, კორუფციის შეჩერების.

სამართალი

# ჩიქოვანის ქუჩაზე იარაღი ამოიღეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს დეტექტივების განყოფილების თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1984 წელს დაბადებული დიმიტრი ს. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით თბილისში, ჩიქოვანის ქუჩაზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას „ჯეოქსი“-ს სისტემის არარეგისტრირებული პისტოლეტი 1 მჭიდით და 6 საბრძოლო ვაზნით ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებული იარაღი სროლისათვის ვარგისია. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

ნიუსპრესი

# ზაზა ხატიაშვილი პროკურატურას გოგა ონიანის დევნაში ადანაშაულებს



ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი ადვოკატ გოგა ონიანთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

„მედიანიუსი“ ხატიაშვილის განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

– ადვოკატთა ასოცაციის თავმჯდომარე გაოგნებული ვარ პროკურატურის მხრიდან ადვოკატ გოგა ონიანის დევნის გამო, რაც მის საქმეში მოწმეთა მიმართ განხორციელებული ზეწოლის ფაქტებში გამოიხატება.

5 აპრილს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში გადაცემაში „განსხვავებული აქცენტები“ გავიდა ფარული ჩანაწერი, რომელიც ადასტურებს ტოტალურ ზეწოლას და პროკურატურის მხრიდან გარიგებას გოგა ონიანის სისხლის სამართლის საქმეზე გამოძახებულ მოწმეებთან მიმართებაში.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ერთი წელი ვაკეთებ განცხადებებს, რომ გოგა ონიანის მიმართ წარმოებული გამოძიება და წაყენებული ბრალდება არის პოლიტიკური. გუშინ ფართო საზოგადოებამ იხილა თუ როგორ დააჯილდოვეს, დააწინაურეს და ბრალი მოუხსნეს იმ პოლიციელებს რომლებიც თითქოსდა იმხილებოდნენ გოგა ონიანთან ერთად დანაშაულის ჩადენაში. პროკურატურამ დააფიქსირა დისკრიმინაციული მოპყრობა გოგა ონიანთან მიმართებაში, რასაც არანაირი გამართლება არ აქვს.

გამოვიდივარ ინიციატივით პარლამენტში შეიქმნას საგამოძიებო კომისია რომელიც განიხილავს პროკურატურის მიერ ჩადენილ სავარაუდო ზეწოლის და პოლიტიკური დევნის ფაქტებს ადვოკატებთან მიმართებაში.

# „ჩეკისტი“ ჯანელიძე თავდაცვის მინისტრად არ უნდა დაენიშნათ“

თამარ ნინიძე

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია „რეპორტიორის“ ოფისში მოქმედ და ყოფილ თავდაცვის მინისტრებს შორის დაწყებულ პაექრობას შეეხო და აღნიშნა, რომ ამ დაპირისპირებამ სკანდალური ფორმა მიიღო.



– ასეთ დონეზე არ უნდა იხილებოდეს უსაფრთხოების საკითხები, – თვლის ექსპერტი.

მაისაიამ ალასანიას მიერ გახმაურებულ მემორანდუმთან დაკავშირებით სახელმწიფო საიდუმლოების გაყონვის საშიშროება ვერ დაინახა. მან თქვა, რომ ალასანიამ ისაუბრა რადიოლოკაციური სისტემების განთავსებაზე და შეიარაღების შეძენაზე, დეტალებზე კი ალასანიას არაფერი უთქვამს.

– ამ დავამ ალასანიასა და ჯანელიძეს შორის ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია გამოკვეთა: ქვეყანას არ სჭირდება დილეტანტი თავდაცვის სამინისტროში. ყოფილი „ჩეკისტის“, ამ შემთხვევაში ჯანელიძის, დანიშვნა თავდაცვის მინისტრად იყო დიდი შეცდომა, ასეთ შეცდომას სტალინიც არ უშვებდა, რომ წითელი არმიის გასაკონტროლებლად „ჩეკისტი“ თავდაცვის მინისტრი დაენიშნა. ეს მხოლოდ პუტინმა გააკეთა ორჯერ, როცა ჯერ სერგეი ივანოვი დანიშნა, მერე კი სერდიუკოვი თავდაცვის მინისტრად. არმიის დემორალიზებას იწვევს მინისტრის ძალოვანი უწყებებიდან დანიშვნა, – მიაჩნია მაისაიას.

ექსპერტი შეეხო გმირულად დაღუპული ჯარისკაცების დნმ-ს ფრაგმენტების დაკრძალვის თემას და ჯანელიძე გააკრიტიკა.

– რამდენჯერაც უნდა შედგეს გმირების დაკრძალვის ცერემონიალი, იმდენჯერ უნდა დაესწრონ მას თავდაცვის მინისტრი და გენშტაბის ხელმძღვანელი და თავის მართლება იმით, რომ კონფერენციით იმართებოდა, არასწორია, – განაცხადა ექსპერტმა.

მაისაიას აზრით, ჯანელიძეს კონფერენციის სტუმრებიც უნდა წაეყვანა ამ ცერემონიალზე დასასწრებად, რომ მათაც პატივი მიეგოთ ქართველი გმირებისთვის.

ექსპერტი სირიაში ორი არასრულწლოვანის გადასვლასაც შეეხო და აღნიშნა, რომ ამ საფრთხეზე არაერთხელ უსაუბრიათ მას და მამუკა არეშიძეს. მაისაიას აზრით, სახელმწიფომ უნდა გაატაროს პრევენციული ზომები, რომ ისლამური ხალიფატის ქმედებები საქართველოს ტერიტორიაზე აღიკვეთოს.

**ვახტანგ მაისაია:**

– საქართველოს ხელისუფლება უდარდელად იქცევა და ამ დროს მეტი დაკვირვება და სიფრთხილეა საჭირო. რუსეთის თავდაცვის მინისტრი შოიგუ პირადად ჩავიდა სტავროპოლში და იქ თავად ხელმძღვანელობდა წვრთნებს გაზრდილი საფრთხის გამო ისლამური ხალიფატიდან. მხედველობის არეალში მოქცეულია მხოლოდ პანკისი, არადა, აფხაზეთში ეს პრობლემა გაცილებით საშიშია.

# ლალი მოროშკინა სახელმწიფო დაცვის დანიშვნას ითხოვს

## „უდესიანისგან საჯაროდ ბოდიშს ველოდები“

თამარ ნინიძე



ლალი მოროშკინამ მიიღო გადაწყვეტილება, ოფიციალურად სთხოვოს სამართალდამცავ ორგანოებს, გამოუყონ სახელმწიფო დაცვა, ვინაიდან მის სიცოცხლეს ემუქრებიან.

ამის შესახებ მოროშკინამ გუშინ, 6 აპრილს, „რეპორტიორის“ ოფისში განაცხადა.

ლალი მოროშკინამ საგანგებოდ გაუსვა ხაზი იმას, რომ ის ყოველთვის იცავს უდანაშაულობის პრეზუმპციას და არასოდეს ჰქონია ცდუნება სახელმწიფო სამსახურში ყოფნის დროს, რომ უსაფუძვლოდ ვინმე დაედანაშაულებინა. ამიტომ გაკვირვებულია იმის გამო, რომ გია უდესიანის სიტყვიერი თავდასხმის ობიექტი სწორედ ის აღმოჩნდა.

**ლალი მოროშკინა:**

– მიუხედავად იმისა, რომ მქონდა თავად ბესო ხარძიანისგან ინფორმაცია მისი ცემის ფაქტზე და ამაში ის უდესიანს ადებდა ხელს, მე ყოველთვის ვამბობდი, რომ თვითონ უდესიანს უნდა გაეცა პასუხი ამ ბრალდებებისთვის, იქნებ მისი სახელი სულაც ბოროტად ვინმეს ჰქონდა გამოყენებული. ამის მიუხედავად, უდესიანმა ქალივით ჭორაობა არჩია და მე კრიმინალურ ავტორიტეტად გამომაცხადა. მე, ნანუკა ჟორჟოლიანი და თაკო ფხაკაძე იმ ინციდენტის შემდეგ შევხვდით ერთმანეთს და დავდეთ პირობა რომ ამ ინციდენტზე არასოდეს ვილაპარაკებდით.

უდესიანისგან მოროშკინა საჯაროდ ბოდიშის მოხდას ელოდება მასზე განხორციელებული სიტყვიერი ბრალდებების გამო. ის აპირებს მიმართოს საფრანგეთის მთავრობას, რომ ამ ადამიანის ექსტრადაცია მოხდეს, რადგან მისი ცხოვრება პარიზში ფრანგებსაც უქმნის პრობლემას. მოროშკინა ასევე აპირებს მიმართოს თავდაცვის მინისტრს მინდია ჯანელიძეს, რომ გამოიძიონ, რა მიზნით წვრთნიდა უდესიანი 300-400 კაციან რაზმს თავდაცვის სამინისტროს ბაზაზე და სად უნდა გამოეყენებინა ეს ადამიანები, რადგან წინა ხელისუფლება მიტინგებს ასეთი სპეციალურად გაწვრთნილი ადამიანების მეშვეობით არბევდა.

ლალი მოროშკინას მიაჩნია, რომ უნდა გაირკვეს თითოეული მკვლელობის დამკვეთის ვინაობა. თავად ვარაუდის დონეზეც კი უარს ამბობს დაასახელოს, ვის ინტერესებში შედიოდა ვაზაგაშვილის და ხარძიანის მკვლელობები.

– ძალიან მაინტერესებს, უდესიანის ჩემდამი დაწყებული აგრესია მისი ინიციატივაა თუ ვილაცის უხილავი ხელი მართავს მას. არ ვარ დაცული სწორედ ამ უხილავი ხელისგან. უდესიანის თითოეული ნაბიჯი პროგნოზირებადია, რადგან ის პრიმიტიული ადამიანია, მაგრამ უნდა გაირკვეს, ვინ მართავს მას, იქნებ თავს ნაციონალებისგან გადაგდებულად გრძნობს, რადგან ცოტა ხნის წინ მოვისმინეთ, როგორ აცხადებდნენ ნაციონალები, რომ უდესიანი მათი თანაგუნდელი არ არის, – ამბობს მოროშკინა.

„ახალი თაობის“ კითხვას, რა ინფორმაციას ფლობს მასზე მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ, მოროშკინამ ასე უპასუხა:

– საკმარისი ინფორმაციაა. მეტიც, არა მარტო ჩემს სიცოცხლეს ემუქრება საფრთხე, არამედ ჟურნალისტებს ნათია მიქიაშვილს, ირაკლი კორძაიას და დაჩი ცაგურიასაც. ისინიც ითხოვენ სახელმწიფო დაცვის დანიშვნას.

როგორ უნდა ებრძოლოს ხელისუფლება გაზრდილ კრიმინალს?

მოროშკინას მიაჩნია, რომ უნდა გამკაცრდეს კონტროლი სახელმწიფო საზღვარზე, აუცილებელია საპატრულო რეიდები და სამოქალაქო სექტორის ჩართვა გამოძიებებში, რადგან დედაქალაქში შეიარაღებული ბანდები დათარეშობენ.

# პანკისი: უხუცესები ვაჰაბიტების წინააღმდეგ

## ქისტი მოსახლეობის უმრავლესობა გმობს სირიაში ახალგაზრდების საომრად გაგზავნას

შორენა მარსაგიშვილი

პანკისის ხეობიდან სირიაში ახალგაზრდების გადინება ლამის ჩვეულ მოვლენად იქცა. რამდენიმე დღის წინ პანკისიდან სირიაში სკოლის მოსწავლეებიც წავიდნენ. ამან ადგილობრივებს მოთმინება დააკარგვინა და მოსახლეობამ საპროტესტო აქცია გამართა.

ხეობის უხუცესებმა და მშობლებმა საქართველოს ხელისუფლებას საგანგებო მიმართვა გაუგზავნა. ისინი გადამჭრელი ზომების მიღებას ითხოვენ.

პრესაში არაერთხელ გაიჟღერა ცნობამ, რომ პანკისში მოქმედებს დაჯგუფება, რომელიც ახალგაზრდებს იბირებს და სირიაში საბრძოლველად მიჰყავს.

ამ ჯგუფზე გუშინდელი აქციის მონაწილეებიც საუბრობდნენ. აქამდე მოსახლეობა მათ აქტიურობას გაგებით ეკიდებოდა, ახლა კი ამბობენ, რომ მეტის მოთმენა აღარ შეიძლება.

იგივეს ფიქრობენ აქაური უხუცესები. მათ გუშინ დუისში კრებაც გამართეს. ისინი სახელმწიფოსგან გადამწყვეტი ზომების მიღებას ითხოვენ. უხუცესთა აზრით, თუ ახალგაზრდების გაყვანა არ შეწყდა, მოსახლეობა ვაჰაბიტებს დაუპირისპირდება.

ადგილობრივების თქმით, ვაჰაბიტებს ახალგაზრდები სირიაში თურქეთის გავლით გადაჰყავს.

უხუცესების განმარტებით, მოსახლეობა ამ პრობლემის მოგვარებას საკუთარი ძალებით ვერ ახერხებს. ამიტომაც დახმარებისთვის მთავრობას, პარლამენტსა და შს სამინისტროს მიმართავენ.

მოსახლეობა ხელისუფლებას საზღვრების მკაცრად გაკონტროლებას სთხოვს.

– უნდა მოხდეს საზღვრების კონტროლი, რათა ახალგაზრდებმა სირიაში სხვის ომში მონაწილეობა ველარ მიიღონ, – აცხადებენ პანკისელები.

უხუცესებმა შეკრებაზე შეიმუშავეს სპეციალური მიმართვა, რომელსაც ისინი პრემიერ-მინისტრს, შს მინისტრს და პარლამენტის თავმჯდომარეს გადაუგზავნიან.

– ქისტი მოსახლეობის უმრავლესობა, ამავე დროს, უხუცესთა საბჭო, გმობს სირიაში ახალგაზრდების საომრად გაგზავნას. რადგანაც სათემო კავშირს და მოსახლეობას ვერ ძალუძს აღკვეთოს ეს არანორმალური მოვლენა, ამიტომ მივმართავთ შინაგან საქმეთა სამინისტროს, ხელისუფლებას, პარლამენტს გაგვიწიონ დახმარება, – ნათქვამია განცხადებაში.

* * *

უხუცესთა საბჭოს სხდომას ადგილობრივი ვაჰაბიტებიც ესწრებოდნენ. მათ მოისმინეს პრეტენზიები. ხელისუფლებისადმი გაგზავნილ მიმართვას კი ხელი არ მოაწერეს.

მათ აღნიშნეს, რომ არასრულწლოვანების საომრად გამგზავრებას ისინიც გმობენ. რაც შეეხება სრულწლოვან ახალგაზრდებს, ვაჰაბიტებს მიაჩნიათ, რომ ომში წასვლა მხოლოდ ამ ახალგაზრდების გადასაწყვეტია.

ადგილობრივი ვაჰაბიტები კატეგორიულად უარყოფენ ახალგაზრდების გადინებასთან რაიმე კავშირს. ამის შესახებ მათ უხუცესებსაც განუცხადეს.



რამზან ბალაკაშვილი და მუსლიმ კუშტანაშვილი

* * *

უხუცესთა საბჭოს მოსაზრებებს სრულად იზიარებს „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე. ის სირიაში ახალგაზრდების წასვლას სამწუხაროს უწოდებს. მისი აზრით, ხელისუფლებას დროულად რომ ემოქმედა, შესაძლოა, სხვა სურათი ყოფილიყო.

– სახელმწიფო რომ თავის ადგილზე და თავის სიმაღლეზე იყოს, ეს ვერ მოხდებოდა. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რათა საქართველოდან არასრულწლოვანების გასვლის შემთხვევებზე ყურადღება იქნეს მიქცეული, – განაცხადა ბურჯანაძემ.

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი თვლის, რომ პანკისელი მოქალაქეების ნაწილი შეცდომაშია შეყვანილი. მისი თქმით, სავარაუდოდ, სპეციალური ჯგუფები მუშაობენ, რომლებიც ახალგაზრდებს ფულად დახმარებას სთავაზობენ.

ნინო ბურჯანაძის განცხადებით, საჭიროა, უხუცესთა საბჭოს მოთხოვნას ყველანაირად მხარში დავუდგეთ და ხელისუფლების მხრიდან ეფექტური ნაბიჯები გადაიდგას, რომ ქვეყანაში ვითარება კონტროლის ქვეშ იყოს და ახალგაზრდები გარკვეული ძალების გავლენის ქვეშ არ ხვდებოდნენ.

**ნინო ბურჯანაძე:**

– ასევე მინდა ყურადღება გავამახვილო უხუცესთა საბჭოს ერთ-ერთი წარმომადგენლის მიერ გაჟღერებულ აბსოლუტურად სწორ პოზიციაზე, რომ ეს ჩვენი ომი არ არის და ჩვენი მოქალაქეები მასში ჩართული არ უნდა იყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში გამორიცხული არ არის, კონფლიქტმა ნაწილობრივ საქართველოს ტერიტორიაზეც გადმოინაცვლოს, მოხდეს გარკვეული ტიპის ტერაქტები, გატაცებები და სხვა. ამ უსუსური ხელისუფლების პირობებში, სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ამ პროცესის შეჩერება რთული იქნება.

* * *

დაუზუსტებელი ინფორმაციით, ისლამური ხალიფატის მხარეს 100-ზე მეტი პანკისელი ახალგაზრდა იბრძვის.

რამდენიმე დღის წინ ხეობიდან სირიაში კიდევ 2 ახალგაზრდა გაგზავნეს, ამჯერად ბავშვები. ისინი ომალოს სკოლის მოსწავლეები იყვნენ. 18 წლის რამზან ბალაკაშვილი მე-11 კლასში სწავლობდა, 16 წლის მუსლიმ კუშტანაშვილი კი – მე-10 კლასში.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, მუსლიმის მშობლებს ბავშვისთვის ქვეყნიდან გასვლაზე კანონით სავალდებულო ნებართვა არ მიუციათ, თუმცა არასრულწლოვანმა თბილისის აეროპორტის გავლით თურქეთში გაფრენა მოახერხა.

შსს-მ სირიაში საომრად წასული არასრულწლოვანის მიერ საზღვრის კვეთის ფაქტზე მოკვლევა დაიწყო.

# ამერიკაში სააკაშვილის ბიძის სახელით მოქმედი ქართველი თაღლითი დააკავეს

ამერიკაში, ფლორიდის შტატის ქალაქ ჯასტიკსში, სამართალდამცველებმა ფულის გათეთრების ბრალდებით თაღლითური ჯგუფი დააკავა.

დაკავებულთა შორის ერთ-ერთი, საქართველოს მოქალაქე, 38 წლის გიორგი წ.-ია.

როგორც უცხოური პრესა იუწყება, გიორგი წ. ჯასტიკის ბანკში ანგარიშის გახსნას სხვა სახელით ცდილობდა. ბანკში დაკავებული ქართველი თავს თემურ ალასანიას უწოდებდა. მან სამართალდამცველებს პასპორტი წარუდგინა, რომელიც სინამდვილეში ყალბი აღმოჩნდა.

გამოძიებით უკვე დადგენილია, რომ ადრე, გიორგი წ.-მ იმავე ბანკში ანგარიში ლატვიის მოქალაქის ფრიდრიხ გალბის სახელზე, ყალბი პასპორტით გახსნა.

გამომძიებლების განცხადებით, გიორგი წ.-მ ანგარიშები სხვადასხვა ადამიანის სახელზე ფლორიდის სხვა ბანკებშიც გახსნა. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებით, ჯგუფის მიერ თაღლითურად მითვისებული და „გათეთრებული“ თანხა 2 მილიონი დოლარია.

ნიუსპრესი

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ათონელის რეზიდენციის მშენებლობა დასრულდა, მაგრამ პრეზიდენტს იქ გადასვლა არ სურს

**ათონელზე მდებარე შენობის დასრულებას განათლების სამინისტრო მოუთმენლად ელოდა. როგორც იცით, ითქვა, რომ, რემონტის შემდეგ იქ პრეზიდენტი გადავიდოდა, ავლაბარში მდებარე უზარმაზარი რეზიდენცია კი განათლების სამინისტროს გადაეცემოდა და იქ ევროპული დონის უნივერსიტეტი განთავსდებოდა. ამას ამბობდა პრეზიდენტად არჩევამდე გიორგი მარგველაშვილი და ამას ელოდა ყველა, მაგრამ...**



ნამდვილად ვერ გეტყვით, რა შეიცვალა მარგველაშვილის ცნობიერებაში, მაგრამ ფაქტია, რომ პრეზიდენტი რეზიდენციის შეცვლაზე უარს აცხადებს. ჯერჯერობით მისი მოტივი უცნობია, მაგრამ საქმე საინტერესო მოვლენასთან გვაქვს. არჩევნებამდე გიორგი მარგველაშვილი ყველას არწმუნებდა, რომ იმ რეზიდენციაში, რომელიც ძალიან დიდი ფუფუნება იყო ნებისმიერი ქვეყნის პრეზიდენტისთვის, გაჩერებას არ აპირებდა და იქ უნივერსიტეტის გახსნაზე ოცნებობდა, მაგრამ სურვილიც და ოცნებაც სადღაც გაქრა. უფრო მეტიც, მარგველაშვილი პირადად იღებდა მონაწილეობას ათონელზე მდებარე რეზიდენციის დაპროექტებაში და რემონტშიც უშუალო მონაწილეობას იღებდა და... როცა ყველაფერი დასრულდა, იქ გადასვლა აღარ სურს.



„რეზიდენციის მშენებლობა დასრულდა. ის გამოდგება როგორც კერძო ოფისისთვის, ისე ნებისმიერი რანგის სტუმრების მისაღებად, თუმცა ფაქტია, რომ ამ დონის ოფისი საქართველოში არავის სჭირდება. ჩვენ მას როგორც პრეზიდენტის რეზიდენციას, ისე ვაკეთებდით“, – განაცხადა „ინფრასტრუქტურის განვითარების კომპანიის“ დირექტორმა ნიკოლოზ რუხაძემ.

მართალია, ჯერჯერობით ზუსტად არ არის ცნობილი, თუ რა თანხა დაიხარჯა ათონელის რეზიდენციაზე, მაგრამ სანამ სამხარაულის ექსპერტიზა საბოლოო დასკვნას დადებს, სავარაუდო ციფრად 26 მილიონი ლარი სახელდება. რა გამოდის? 26 მილიონი ლარი დაიხარჯა რეზიდენციაში, რომელშიც პრეზიდენტს შესვლა არ სურს და რაც მთავარია, არ სურს დაპირების და განცხადების მიუხედავად. ისიც სათქმელია, პარლამენტში გამოსვლისას მარგველაშვილმა „ქართულ ოცნებას“ წინასაარჩევნო დაპირებები რომ შეახსენა, საკუთარი რატომ არ ახსოვს?! აკი ამბობდა, მანდ გამჩერებელი არ ვარ, საქართველოს მდგომარეობა არ იმსახურებს იმას, რომ პრეზიდენტს ამ დონის რეზიდენცია ჰქონდესო? ახლა იმსახურებს?! ან მდგომარეობა გაუმჯობესდა, ან პრეზიდენტს აქვს რაღაც განსაკუთრებული დამსახურება და ჩვენ ჯერ არ ვიცით.

ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ეკატერინე სისაური:

– საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში სხვა აქტივთან ერთად შეტანილი იყო თბილისში, ათონელის ქუჩაზე მდებარე რეზიდენცია. საკმაოდ სპეციფიკური სახის შენობაა, რომელიც დაპროექტებულია, როგორც უმაღლესი თანამდებობის პირის რეზიდენცია. შესაბამისად, გათვლილი არქიტექტურით და შიდა სივრცით. ვფიქრობ, სწორედ ესაა მიზეზი, რომ ამ შენობით დღემდე არცერთი პოტენციური მყიდველი არ დაინტერესებულა, ვინაიდან შენობის კომერციული მიზნებისთვის მორგება საკმაოდ რთული იქნებოდა, სავარაუდოდ, შენობის გაყიდვა გაჭირდება და მისი გამოყენება მოხდება რომელიმე სამთავრობო უწყების მიერ, ან თავდაპირველი დაპროექტების შესაბამისად.



ლოგიკურია, რომ ათონელის რეზიდენციის რემონტისთვის დახარჯულ თანხას არცერთი ბიზნესმენი არ გადაიხდის. ისიც ლოგიკურია, რომ აღარ არის ძველი დრო და ბიზნესმენებს ვერ აიძულებენ, შენობა იყიდონ. ანუ რა გამოდის? ის, რასაც მარგველაშვილი წინა ხელისუფლებას უკიჟინებდა, ახლა თავად აქვს საკიჟინო. მარგველაშვილის გადაწყვეტილება არანაირად არ მოსწონს ბიძინა ივანიშვილს, კაცს, რომელმაც, რბილად რომ ვთქვათ, ფილოსოფოსი მარგველაშვილისგან პრეზიდენტი შექმნა.

ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა:

– რამდენად აქვს უფლება მას ამ სასახლეში ყოფნის? მაგალითად, ესტონეთის პრეზიდენტის სასახლე 1500 კვ.მ-ია, ჩვენს პრეზიდენტს კი 6000 კვ.მ. ავუშენეთ და გავარემონტეთ, ეს კაცი აცხადებს, რომ შესვლა არ უნდა, რას ნიშნავს ეს? ახლა კი მთავრობამ ეს შენობა უნდა გაყიდოს.

10 ათასი კვადრატული მეტრი, სადაც ცხოვრობს, მისთვის ჭარბია და ვერ მოიხმარს. ოპოზიციას ეს თემა არ აინტერესებს, უმრავლესობა კი კეკლუცობს, ვერ ბედავს.

ეს კაცი თავისი ფუფუნებისთვის, თავისი ხასიათისთვის, თავისი ნებივრობისთვის არ თმობს. აქვს თუ არა ამის უფლება? ეს პოლიტკორექტულობას სცდება, აქვს უფლება ამ სასახლეში ცხოვრების და აქვს უფლება 10 ათასი კვ.მ. თავისი ხასიათისთვის გამოიყენოს?

ივანიშვილის სიტყვებს ეთანხმება საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გია ვოლსკი და მარგველაშვილს წარსულსაც ახსენებს.

– ჩვენ ვერ გამოვედით იმ მიდგომიდან, რომ ბიძინა ივანიშვილი არის ადამიანი, გავლენიანი, რესურსის მქონე, მაგრამ მხედველობაში იგივე პლატფორმიდან საუბრობს, საიდანაც საზოგადობრივი ორგანიზაციების შეფასებები, გამოხმაურებები კეთდება. აქედან გამომდინარე, შეიძლება დაეთანხმო, არ დაეთანხმო, მაგრამ არა მარტო ბიძინა ივანიშვილი ფიქრობს ასე, არამედ, გიორგი მარგველაშვილი ფიქრობდა ასე და არა მგონია, მან აზრი შეიცვალა, რომ ამ სასახლეში არ უნდა ყოფილიყო პრეზიდენტის ოფისი. ამაზე კამათი არ მიმდინარეობს, მე არა მგონია პრეზიდენტმა თავისი სიტყვა და მიდგომა შეცვალა, უბრალოდ, მიზეზი იქ გადასვლის მდგომარეობს იმაში, რომ სამუშაო პირობები უკეთესია, – აცხადებს ვოლსკი.

რეალობა ის არის, რომ პრეზიდენტს აზრი აქვს შეცვლილი და ამის მიზეზი ფუფუნებისკენ მიდრეკილება გვგონია.

---

## ქართული ღვინო მსოფლიოში 100 საუკეთესოს შორის დასახელდა

ამერიკულმა ჟურნალმა „USA Wines & Spirits Magazine“-მ, ქართული ღვინო მსოფლიოში 100 საუკეთესოთა შორის დაასახელა.

აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის ქვეყნების წლის საუკეთესო ღვინოების ჩამონათვალში, საქართველოდან, კომპანია „Schuchmann Wines Georgia“ -ს ღვინო შევიდა.

– ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების ამერიკული ჟურნალი მომხმარებლისათვის ყოველწლიურად ბრმა დეგუსტაციას ატარებს, რათა წლის 100 საუკეთესო ღვინო გამოავლინოს. კონკურსში ამერიკის ბაზარზე წარმოდგენილი ღვინოები მონაწილეობენ, – აღნიშნა კომპანია „შუხმან ვაინს ჯორჯიას“ საერთაშორისო გაყიდვების აღმასრულებელმა დირექტორმა ეკატერინე ჯავახიამ.

ქართულმა ღვინომ 100-ბალიანი სისტემოთ შეფასებისას, 90 ქულა მიიღო.

**ნიუსპრესი**

---

## ვინ მიიღო უარი დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნებაზე

დეკლარაციის შევსებისას, მოქალაქეებს, რომელთა წლიური შემოსავალი 6.000 ლარს ან უფრო ნაკლებს შეადგენს, დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნებაზე უარი ეთქვათ.

მიზეზად შემოსავლების სამსახურში დამსაქმებლის მიერ წარდგენილ დოკუმენტებში შეუსაბამობა დასახელდა (ე.წ. შავი დეკლარაციები). ამ პრობლემის წინაშე ბევრი ადამიანი აღმოჩნდა.

ბიპიენს შემოსავლების სამსახურში განუცხადეს, რომ დამქირავებლის მიერ გადახდის წყაროსგან დაკავებული გადასახადების დაკლარაციისა და საანგარიშო თვის მიხედვით, მონაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ ინფორმაციის მონაცემები უნდა შეესაბამებოდეს ერთმანეთს.

– შეუსაბამობის შემთხვევაში, ფიზიკური პირი ვერ ისარგებლებს დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის უფლებით. თუ პირს უარი ეთქვა დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის უფლებით სარგებლობაზე დამქირავებლის მიერ არასწორად წარდგენილი მონაცემების საფუძველზე, დაქირავებულმა უნდა მიმართოს დამქირავებელს, – განაცხადა შემოსავლების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა ხატია მოისწრაფიშვილმა.

მისი თქმით, თუ დამქირავებელი წარდგენილ დეკლარაციაში ცვლილებას განახორციელებს, პირს საშუალება მიეცემა ისარგებლოს დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის უფლებით და წარმოადგინოს დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის დეკლარაცია.

– დამქირავებელს ხელახალი დეკლარაციის წარდგენა შეეძლება არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვისა, ეს ინფორმაცია ჩაითვლება თავდაპირველად წარდგენილად, – განაცხადა ხატია მოისწრაფიშვილმა.

**თიკო გურაშვილი, ბიპიენი**

---

ეკონომიკა

## რუსული „მეგაფონი“ ქართული ბაზრით დაინტერესდა

„მეგაფონი“ საქართველოსადმი ინტერესს აფიქსირებს და განმარტებებს აკეთებს „სილქნეტთან“ თანამშრომლობასთან დაკავშირებით.

საუბარია ზემო ლარსი-ყაზბეგის მარშრუტზე „სილქნეტის“ საკუთრებაში არსებული სპილენძის ხაზის მოდერნიზაციასა და ოპტიკური არხით ჩანაცვლებაზე, რის შედეგადაც მაგისტრალური ხაზის გამტარუნარიანობა 100გბ-მდე გაიზარდა და შესაძლებელი გახდა მისი გამოყენება ინტერნეტ-ტრანზიტისთვის.

„სილქნეტის“ განმარტებით, ზემო ლარსი-ყაზბეგის მაგისტრალური ხაზის დანიშნულება რუსეთს, ევროპასა და კავკასიის რეგიონის ქვეყნებს შორის ყველა ტიპის სატელეკომუნიკაციო ტრაფიკის გატარებაა.

აღნიშნულ ინფორმაციასთან დაკავშირებით „მეგაფონის“ პრეს-მდივანი ალია ბეკეტოვა „კომერსანტთან“ აცხადებს, რომ ესაა კომერციული პროექტი, მკაფიოდ განსაზღვრული გავლენის სფეროებით, სადაც „მეგაფონი“ პასუხს აგებს კონტენტის რუსეთიდან ევროპისთვის მიწოდებაზე,“სილქნეტი“ კი მას საქართველოს ტერიტორიაზე ანაწილებს.

– ეს პროექტი არის დიდი ნაბიჯი ჩვენს კომპანიებს შორის გრძელვადიანი პარტნიორობისკენ, – აღნიშნა ბეკეტოვამ, თუმცა არ უპასუხია „კომერსანტის“ შეკითხვაზე, ნიშნავს თუ არა კომპანიის განცხადება ქართული ბაზრით დაინტერესების შესახებ სხვა პროექტების განხორციელების შესაძლებლობასაც.---

წლების წინ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებზე მაუწყებლობის გამო „მეგაფონი“ ქართულმა მხარემ რამდენჯერმე დააჯარიმა, თუმცა კომპანიას ჯარიმა არ გადაუხდია.

„მეგაფონი“ აფხაზეთში მოქმედი „აკვაფონის“ საკონტროლო პაკეტს ფლობს, ასევე უზრუნველყოფდა მობილურ კავშირს ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. ამ ეტაპზე მას ქართული მხარიდან მილიონი ლარის ჯარიმა აქვს დაწესებული.

**მაია ბუთბაია კომმერსანტ.გე**

---

## საგადასახადო შემოწმების ვადები შემცირდება

### შემოსავლების სამსახურმა ამ საკითხზე მუშაობა დაიწყო

საგადასახადო შემოწმების ვადების შემცირების საკითხზე შემოსავლების სამსახურმა მუშაობა დაიწყო. აღნიშნული საკითხით დაინტერესება საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა საკანონმდებლო ორგანოს მოსთხოვა.

ექსპრემიერმა და „მოქალაქის“ დამფუძნებელმა მთავრობასა და პარლამენტს მოუწოდა, საგადასახადო შემოწმების ვადები შეამცირონ და ევროპულ პრაქტიკას მიუახლოვონ.

ყოფილი და მოქმედი პრემიერ-მინისტრების მიერ გაკეთებული განცხადებების პარალელურად „კომერსანტი“ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს დაუკავშირდა.

კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ნოდარ ებანოიძის ინფორმაციით, ხანგრძლივი შემოწმების პროცესი დისკომფორტს ნამდვილად იწვევს, ებანოიძე აცხადებს, რომ შემოსავლების სამსახური მუშობს საკითხზე, თუმცა ეს საკანონმდებლო ორგანოში შევა როგორც საკანონმდებლო ინიციატივის თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის ფორმით, ამ ეტაპზე უცნობია.

ებანოიძის პროგნოზით, ეს საკითხი სავარაუდოდ საგაზაფხულო სესიისთვის უნდა მოხვდეს პარლამენტში.

ბოლო დროს გააქტიურებულ თემას გახშირებულ შემოწმებებთან დაკავშირებით, ებანოიძე ეთანხმება და ამის დასტურად შემოსავლების სამსახურის მიერ მიწოდებული სტატისტიკა მოჰყავს.

სტატისტიკის მიხედვით, წინა წლებში დაფიქსირებული იყო შემოწმების 7.500 ფაქტი, 2014 წელს კი ეს მაჩვენებელი 3.000-მდეა შემცირებული.

ებანოიძის შეფასებით, არ არის პრობლემა დავების გახანგრძლივების ვადებიც. ამის დასტურად მას ისევ შემოსავლების სამსახურის სტატისტიკური მონაცემები მოჰყავს, რომელთა მიხედვით, 2014 წელს დავების გადავადება შემოწმებული ობიექტების მოთხოვნით ხდება.

* * *

შემოსავლების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ხატია მოისწრაფიშვილი აცხადებს, რომ უწყება სავალუტო ფონდის ექსპერტებთან ერთად აუდიტის ჩატარების პროცედურების დახვეწაზე მუშაობს, რაც შემოწმების ვადების ოპტიმიზაციას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

გარდა ამისა, შემოსავლების სამსახური თემატურ შემოწმებებზე გადავიდა, რაც ასევე შეამჭიდროვებს ვადებს.

კომპანიების საგადასახადო შემოწმებისას მიდგომის შეცვლის აუცილებლობაზე ბიზნეს ასოციაციის წარმომადგენელმა ზურაბ ლალაზაშვილმა „კომერსანტთან“ ისაუბრა და აღნიშნა, რომ კომპანიების შემოწმების პროცესს სისტემური მიდგომა და განსხვავებული მეთოდოლოგია სჭირდება

**სოფო ქსოვრელი ცომმერსანტ.გე**



# ეგზემის, ფსორიაზისა და დერმატიტის მკურნალობა ხალხური რეცეპტითაც შეიძლება

*ეგზემა* აღინიშნება ნებისმიერ ასაკში, კანის საფარველის ნებისმიერ უბანზე. განასხვავებენ ჭეშმარიტ, მიკრობულ, სებორეულ და პროფესიონალურ ეგზემას. ჭეშმარიტი ეგზემა მიმდინარეობს მწვავედ, ქვემწვავედ და ქრონიკულად. მწვავე ეგზემა ხასიათდება მკაფიო შეშუპებული ერითემით, მრავლობითი წვრილი ბუშტუკებით, რომელთა გახსნისას წარმოიქმნება წერტილოვანი ეროზიები უხვი სისველით, ქერქებისა და ქერცლების წარმოქმნით. სუბიექტრად აღინიშნება ქავილი.

მწვავე ეგზემა გრძელდება 1,5-2 თვე. ქვემწვავე მიმდინარეობის დროს ანთებითი მოვლენები ნაკლებადაა გამოხატული: კერების შეფერილობა ხდება მოლურჯო – ვარდისფერი, შეშუპება და სისველე ზომიერია, ცხრება ქავილი და წვა; თან ერთვის ინფილტრაცია. პროცესის ხანგრძლივობა ნახევარ წლამდეა. ქრონიკული მიმდინარეობისას კლინიკურ სურათში სჭარბობს კანის ინფილტრაცია, ბუშტუკები და სველი ეროზიები ძნელად ვლინდება, აღინიშნება ქავილი. მიმდინარეობა გაურკვევლად ხანგრძლივია, მორეციდივე.

ჭეშმარიტი ეგზემის სახესხვაობას წარმოადგენს დისჰიდროზული ეგზემა, რომელიც ლოკალიზდება ხელისგულებსა და ფეხისგულებზე და ვლინდება უხვი, ბუშტუკების და მრავალკამერიანი ბუშტების კერებით, მკვრივი სახურავით, რომელთა გახსნისას შიშვლდება რქოვანი შრით გარშემორტყმული სველი უბნები.

მიკრობული ეგზემა, რომლის პათოგენეზში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მიკროორგანიზმებისადმი სენსიბილიზაცია, გამოირჩევა განლაგების ასიმეტრულობით, (ხშირად კიდურებზე) მრგვალი მოხაზულობით, აშრევებული რქოვანი შრის მკაფიო საზღვრებით, ჩირქგროვების არსებობით, ხანგრძლივად შეურხორცებადი ჭრილობებით, ტროფიკული წყლულებით.

სებორეული ეგზემა პათოგენტიკურად დაკავშირებულია სებორეასთან. გვხვდება ჩვილ ბავშვთა ასაკშიც. ლოკალიზდება თავის თმიან ნაწილზე, ყურის ნიჟარებს უკან, სახეზე, გულმკერდზე და ბეჭებს შორის. მისი დამახასიათებელი თავისებურებაა მოყვითალო შეფერვა, ცხიმიანი ქერცლები, გამოხატული სისველის არარსებობა, არამკვეთრი ინფილტრაცია, კერების მიდრეკილება რეგრესისაკენ ცენტრში და ერთდროული ზრდით პერიფერიაზე.

პროფესიონალური ეგზემა მორფოლოგიურად მსგავსია ჭეშმარიტი ეგზემისა, აზიანებს კანის ღია ნაწილებს; პირველ რიგში ექვემდებარება ქიმიური გამაღიზიანებლების მავნე ზემოქმედებას საწარმოო პირობებში და არ ხასიათდება მყარი მიმდინარეობით, ვინაიდან სენსიბილიზაცია ატარებს არა იმდენად პოლივალენტურ, არამედ მონოვალენტურ ხასიათს.

დაავადების მკურნალობა ითვალისწინებს გამაღიზიანებელი ფაქტორების გამოვლინებასა და მოხსნას, თანმხლები დაავადების თერაპიას; საჭიროა კანის მაქსიმალური დაცვა, განსაკუთრებით დაზიანებული უბნების. ინიშნება ანტიჰისტამინური და სედატიური საშუალებები, მათ შორის ტრანკვილიზატორები; გამოიყენება კორტიოსტეროიდული მაზები.

❖ ❖ ❖

### ეგზემის მკურნალობა ხალხური რეცეპტებით

– კომბოსტოს ფოთოლს იდებენ დაზიანებულ ადგილზე და ბინტით იხვევენ. 2 3 დღის შემდეგ იხსნიან და ახალ ფოთოლს იდებენ. იმეორებენ რამდენჯერმე.



– რძეში ხარშავენ კომბოსტოს ფოთოლს, ურევენ ქატოში და იდებენ დაზიანებულ ადგილზე. იმაგრებენ სახვევით.

– კომბოსტოს ატარებენ ხორცსაკეპში და ურევენ კვერცხის ცილას. იდებენ დაზიანებულ ადგილზე საფენით.

– კარტოფილს ჭრიან სიბრტყეზე და იდებენ დაზიანებულ ადგილზე.

– კარტოფილს რეცხავენ, ფცქვნიან, ხეხავენ წვრილ სახეხზე და წურავენ. წვენში ასველებენ 1 სმ სისქეზე დაკეცილ მარლას და იდებენ ეგზემიან ადგილზე. 2 საათის შემდეგ ცვლიან ახლით.

– კარტოფილს ხეხავენ, უმატებენ თაფლს (1/2 ჭიქა ფაფაზე 1 ჩაის კოვზი თაფლი) და ურევენ. ამ ნარევს უსვამენ მარლის სქელ ფენაზე და ადებენ დაზიანებულ ადგილზე. საფენს ცვლიან ყოველ 2 საათში ერთხელ დღის განმავლობაში. ღამე იდებენ დინდგელის მალამოს, დღისით ისევ კარტოფილსა და თაფლის ნარევს.

❖ ❖ ❖

*ფსორიაზი* კანის ერთ ერთი ყველაზე გავრცელებული ქრონიკული დაავადებაა, რომლის დროსაც კანის გარდა, ზიანდება ფრჩხილები და სახსრები. მის ჩამოყალიბებაში მონაწილეობს ნევროგენული, მემკვიდრეობითი, იმუნური, ნივთიერებათა ცვლასთან დაკავშირებული ფაქტორები. ფსორიაზი ვითარდება ნებისმიერ ასაკში, ავადდებიან, როგორც მამაკაცები ასევე ქალები.

არსებობს წარმოშობის რამდენიმე თეორია: ვირუსული, ინფექციურ – ალერგიული, ნეირო–ენდოკრინული, მემკვიდრეობითი და ა. შ. დაავადებას ახასიათებს ქრონიკული მიმდინარეობა და მიდრეკილება რეციდივებისადმი.

ფსორიაზის დროს გამონაყარი შედგება წვრილი ელემენტებისგან მკვეთრად გამოირჩევა ჯანსაღი კანისგან, გამონაყარი მოვარდისფრო, მოწითალოა ან მუქი წითელი ფერის. ზედაპირი დაფარულია დამახასიათებელი თეთრი მოვერცხლისფრო ქერცლით. შესაძლებელია განვითარდეს გავრცელებული გამონაყარი. თავიდან გაჩენილი წვრილი პაპულები თანდათან იზრდება, შემდეგ ხდება მათი შეერთება მსხვილ კერებში, რომლებიც დაფარულია მოვერცხლისფრო – მოთეთრო ქერცლით. პაპულების მოფხეკის დროს, ვლინდება ფსორიაზისთვის დამახასიათებელი სიმპტომები: „სტეარინის ლაქა, ტერმინალური აბკი, სისხლიანი ნამი".

გამონაყარის ტიპიური ადგილებია: თავის თმიანი ადგილი, იდაყვის და მუხლის სახსარი, ზურგის ქვემო ნაწილი, დუნდულები, ზოგჯერ ახლავს ქავილი.

ფსორიაზის მიმდინარეობაში გამოყოფენ შემდეგ სტადიებს: პროგრესული, სტაციონარული და რეგრესული.

პროგრესული სტადიისთვის დამახასიათებელია: დიდი რაოდენობით წვრილი, კვანძოვანი გამონაყარი, ელემენტების პერიფერიული ზრდა და ფსორიაზული პაპულების განვითარება კანის მექანიკური ტრავმების ადგილებში.

სტაციონარულ სტადიაში ახალი ელემენტები არ ჩნდება. უკვე არსებული პაპულები წყვეტენ ზრდას.

რეგრესიის სტადიისთვის დამახასიათებელია გამონაყრის გაბრტყელება, ქერცვლადობის შემცირება და ელემენტების გაწოვა, რომელიც იწყება ცენტრალური ადგილიდან.

ფსორიაზის დიაგნოსტიკა ემყარება კლინიკურ სურათს. მისი მკურნალობა კი არის სისტემური ხასიათის.

ამ დაავადებისადმი მიდრეკილება შეიძლება შთამომავლობითაც გადაეცეს.

დაავადება იწყება კანზე მოვარდისფერო ან მოწითალო კვანძების გაჩენით, რომლებიც იფარება მოვერცხლისფერო თეთრი ქერცლებით. გამონაყარი თანდათან ფართოვდება, ერთიანდება და იქმნება მსხვილი კერა.

ფსორიაზით დაავადებულ ადამიანს ურჩევენ რძისა და მცენარეული საკვების მიღებას, უზღუდავენ ცხოველურ ცხიმებსა და ნახშირწყლებს. სასურველია მზის აბაზანების მიღება (მაგრამ არა – დაავადების გამწვავების პერიოდში), ზღვაში ბანაობა, საოჯახო პირობებში კი თბილი საპნის აბაზანები.

❖ ❖ ❖

### ფსორიაზის მკურნალობა ხალხური რეცეპტებით

შინაგანად მისაღებად

– ნივრის ცოცხალი წვენისა და ფაფის მიღება (თაფლით) ფსორიაზის სამკურნალოდ უძველესი და ეფექტური საშუალებაა.

– 20 გრამ დაფნის მშრალ ფოთლებს ასხამენ 2 ჭიქა მდუღარეს, ადუღებენ 10 წუთს, წურავენ. სვამენ დღის განმავლობაში 3 მიღებაზე. მკურნალობის კურსი 5 7 დღეა.

– ისეთი დაავადების სამკურნალოდ, როგორიცაა ეგზემა და ფსორიაზი, გამოიყენება ქაცვის ზეთი. იღებენ დღეში 2 მილილიტრს.

– იღებენ 60 გრამ ჭინჭრის ყვავილს და ფოთოლს, ასხამენ 1 ლიტრ მდუღარეს. იღებენ დღეში 3 ჯერ 100 მილილიტრს. ეს საშუალება წმენდს სისხლს და დაავადება ქრება.

– 10 გრამ ორკბილას ასხამენ 1 ჩაის ჭიქა მდუღარეს. დგამენ 30 წუთით მდუღარე წყლის აბაზანაში. აცივებენ 10 წუთით, წურავენ, უმატებენ მდუღარე წყალს 200 მლ მდე შესავსებად. იღებენ 2 3 სუფრის კოვზს დღეში 3 ჯერ.

გარეგანი საშუალებები ფსორიაზის სამკურნალოდ

– ფსორიაზის სამკურნალოდ იყენებენ მოცვის ნაყოფის ნახარშის საფენებს. დაზიანებულ ადგილზე იფენენ დილა საღამოს.

– ქრისტესისხლას წითელი წვენის წასმა ფსორიაზით დაზიანებულ კერებში აშორებს ქერცლებს და კურნავს დაავადებას.

– ხარშავენ ფარსმანდუკს, ასხამენ აბაზანის თბილ წყალში და იკეთებენ აბაზანებს.

– არყის ხის კვირტების 10 30% იანი მალამო საუკეთესო საშუალებაა ეგზემის, ფსორიაზის სამკურნალოდ.

– ორკბილა (ბალახი) 15 გრამი, კოთხუჯი (ფესვები) 15 გრამი, დიდგულას ყვავილები 10 გრამი, სიმინდის ულვაში 15 გრამი, კრაზანა 15 გრამი, წითელი მოცვის ფოთლები – 10 გრამი, ქრისტესისხლა 5 გრამი, მინდვრის შვიტა 10 გრამი, კულმუხო (ფესვები) – 10 გრამი.

ყველა შემავალი კომპონენტი დაჭერით წვრილად. 1 სუფრის კოვზ ბალახეულზე აიღეთ 1 ჭიქა მდუღარე წყალი, დააყენეთ და შეფუთეთ. 2 საათის შემდეგ ნაყენი გადაწურეთ. მიიღეთ დილით და საღამოს 1/2 სუფრის კოვზი საჭმლის შემდეგ.

– მიიღეთ წიწვოვანი აბაზანები ორი თვის განმავლობაში, ყოველდღიურად, 20 წუთით.

წიწვოვანი ექსტრაქტი ასე დაამზადეთ – 100 გრამი ნაძვის წიწვები ჩაყარეთ 1 ლიტრ წყალში, ადუღეთ 10 წუთი, დააყენეთ 3 საათი და მიღებული ნაყენი ჩაასხით სავსე აბაზანაში.

❖ ❖ ❖

*დერმატიტი* არის კანის ანთებითი რეაქცია მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის მიმართ. განასხვავებენ კონტაქტურ დერმატიტსა და ტოქსიდერმიას. ამავე ჯგუფს მიაკუთვნებენ კანის ისეთ დაავადებებსაც, როგორიც არის სებორეული დერმატიტი (ქერტლი, ფერიმჭამელები, აკნე, მუწუკი და ა.შ.), ატოპიური დერმატიტი (ნეიროდერმატიტი), ჰერპესული დერმატიტი, ეგზემა.

უბრალო კონტაქტური დერმატიტი. უბრალო კონტაქტური დერმატიტი შეიძლება იყოს მწვავეც და ქრონიკულიც. უბრალო კონტაქტურ დერმატიტს იწვევს ქიმიური და ფიზიკური გამღიზიანებლების მთელი წყება: გამხსნელები, მჟავები და ტუტეები, ზოგიერთი მცენარე (მათ შორის – ჭინჭარი), ასევე – ძლიერი ზეწოლა, სხივური და თერმული ზემოქმედება.

ალერგიული კონტაქტური დერმატიტი შენელებული ტიპის ალერგიული რეაქციის შედეგია. ვლინდება გამღიზიანებელთან კავშირიდან ერთი ან რამდენიმე კვირის შემდეგ და ლოკალიზდება ალერგენთან კანის უშუალო კონტაქტის ადგილას. ალერგენი შეიძლება იყოს ფორმალდეჰიდი, ქიმიკატი, მცენარის მტვერი და სხვა. დაავადების სიმპტომებია კანის მკვეთრი შეწითლება, ერითემა მკვეთრი შეშუპებით, ბუშტუკები და ბუშტები, რომლებიც იხსნება და ტოვებს სველ ეროზიას.

ტოქსიდერმია კანის დაზიანებაა, რომელიც აღმოცენდება ალერგენებისა და ტოქსიკური ნივთიერებების (ქიმიური აგენტების, ზოგიერთი წამლის, საკვები პროდუქტის) ერთდროული ზემოქმედებისას ამ უკანასკნელთა შინაგანი მიღების ან ჩასუნთქვის შემთხვევაში. ტოქსიდერმიის ნიშანია გამონაყარი, რომელიც ზოგჯერ ეგზემური ხასიათისაა, ზოგჯერ კი წითელასთვის, წითურასთვის, ქუნთრუშასთვის დამახასიათებელ გამონაყარს წააგავს.

თუ მკურნალობა დროულად დაიწყო. დაავადება სავსებით იკურნება.

❖ ❖ ❖

### დერმატიტის მკურნალობა ხალხური რეცეპტებით

– 1 სუფრის კოვზ ბაბუაწვერას ფოთლებს ასხამენ 400 მლ მდუღარე წყალს თერმოსში. იღებენ თბილი სახით 1/2 ჩაის ჭიქას დღეში 4 ჯერ. გამოიყენება კანის მრავალი დაავადების სამკურნალოდ.

– ორკბილას ნახარშის აბაზანები გამოიყენება ქავილიანი დერმატიტის დროს (განსაკუთრებით ბავშვებში).

– ალოეს ფოთლები გამოიყენება ხანგრძლივი დერმატიტების სამკურნალოდ, რისთვისაც ალოეს ფოთლების წვენში დასველებულ საფენებს იდებენ დაზიანებულ ადგილებზე. მკურნალობის შედეგად აღდგება კანის მგრძნობელობა, პიგმენტაცია და თმის ზრდა (თავის ნაწილში) ამ ადგილებში.

– კარტოფილს (უმს) ახასიათებს ანთების საწინააღმდეგო მოქმედება, ამიტომ მისი სახამებელი გამოიყენება შესაფრქვევად, მალამოების სახით.

– მრავალძარღვას ცხელ წვენს ურევენ ვაზელინში და იზელენ დაზიანებულ ადგილებში.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

**სამართალი**

## გიორგი ბარამიძე უგულავას საკითხზე რეაგირებას ითხოვს

პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ოპოზიციიდან გიორგი ბარამიძემ უმრავლესობას გიგი უგულავას წინასწარ პატიმრობაში ყოფნაზე რეაგირება სთხოვა. მან ბიუროს სხდომაზე კოლეგებს მიმართა, რომ არ დაუშვან კონსტიტუციის ფეხქვეშ გათელვა.

გიორგი ბარამიძე:

– მინდა მოგმართოთ როგორც კოლეგებს და არა ურთიერდაპირისპირებული პოლიტიკური ძალების წარმომადგენლებს: გიგი უგულავას საპყრობილეში ყოფნის 9-თვიანი ვადა, რაც კონსტიტუციით არის განსაზღვრული, გასულია. ეს არის სერიოზული პრობლემა, რადგან ირღვევა კონსტიტუცია. იქნებ შესაბამისი ნაბიჯები გადავდგათ იმისთვის, რომ სახიფათო პრეცედენტის განვითარება არ დავუშვათ, – განაცხადა გიორგი ბარამიძემ ბიუროს სხდომაზე.

როგორც მის პასუხად პარლამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მანანა კობახიძემ განმარტა, პირის წინასწარ პატიმრობაში 9 თვეზე მეტი ვადით ერთსა და იმავე ბრალზე ყოფნა კონსტიტუციით დაუშვებელია.

მისი თქმით, ამ შემთხვევაში საუბარია სხვა ბრალდების საქმეზე. ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის, ეკა ბესელიას განცხადებით კი პარლამენტი სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში ვერ ჩაერევა.

მედიანიუსი

## ვახტანგ გომელაური: „სირიაში საომრად წასული არასრულწლოვანის მიერ საზღვრის კვეთის ფაქტზე მოკვლევა დაიწყო"

შინაგან საქმეთა მინისტრ ვახტანგ გომელაურის განცხადებით, კანონი დაირღვა, როდესაც მესაზღვრეს, პანკისის ხეობის მკვიდრი არასრულწლოვანი ახალგაზრდა გაეპარა.

მინისტრის თქმით, ამ ფაქტზე მოკვლევა უკვე დაიწყო.

ვახტანგ გომელაური:

– რა თქმა უნდა კანონი დაირღვა, არასწორად მოიქცა მესაზღვრე, როდესაც ეს ადამიანი გაეპარა. ერთი არასრულწლოვანი, მეორე კი სრულწლოვანი იყო, – 18 წლის. მოგეხსენებათ, თურქეთში გასვლა აიდი-ბარათებით ხდება და არა საზღვარგარეთის პასპორტებით. მისი ვიზუალური შეხედულებით კი, პანკისის მკვიდრი არასრულწლოვანს არ ჰგავდა და მესაზღვრემაც ეჭვი არ შეიტანა. თუმცა, ეს რა თქმა უნდა, მას არ ამართლებს.

ასევე, ჩვენ თურქულ სპეცსამსახურებსაც დავუკავშირდით, რომლებსაც ვთხოვეთ, რომ ბავშვის უკან დაბრუნება მოხდეს. ამაზე ვმუშაობთ",-განაცხადა გომელაურმა.

მინისტრმა ასევე, აღნიშნა, რომ ბევრ შემთხვევაში შსს-მ სირიაში წასული ადამიანები უკან დააბრუნა.

– კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ გაგვეპარა ასე ვთქვათ, გაეპარა იმ მესაზღვრეს, რომელმაც არ გადაამოწმა მისი წლოვანება. შეიძლება ამას არ უნდა ვამბობდე, მაგრამ ვიტყვი, რომ იყო ძალიან ბევრი შემთხვევა, როდესაც ჩვენ სირიაში წასული ადამიანები უკან დავაბრუნეთ და არა მარტო არასრულწლოვანები, – განაცხადა შს მინისტრმა.

ნიუსპრესი

## 12 წლის ბავშვი ტრაილერის დაჯახების შედეგად გარდაიცვალა

ხაშურში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 12 წლის ბავშვი დაიღუპა. როგორც „ინტერპრესნიუსს" შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ხაშურის მაგისტრალზე მოძრავი ტრაილერი 2 არასრულწლოვანს დაეჯახა, ერთი მათგანი გარდაიცვალა, ერთი კი საავადმყოფოშია მოთავსებული.

მათივე ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც გარდაცვალება გამოიწვია.

# დმიტრო იაროში უკრაინის გენშტაბის უფროსის მრჩევლად დაინიშნა



პატრიოტული ორგანიზაცია „მემარჯვენე სექტორის“ ლიდერი დმიტრო იაროში უკრაინის გენშტაბის უფროსის მრჩევლად დაინიშნა. ამით უკრაინული არმიის განმტკიცებისკენ უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადაიდგა.

– იაროში ის ფიგურაა, რომელსაც შეუძლია მოხალისეთა ბატალიონების ეროვნულ არმიაში ინტეგრაციის უზრუნველყოფა, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

**უკრაინელი პატრიოტი**

დმიტრო იაროში დნეპროპეტროვსჩინაზე მუშის ოჯახში დაიბადა, სამხედრო-სავალდებულო სამსახური ჯერ კიდევ სსრკ-ს დროს გაიარა. იაროში სარაკეტო ჯარებში მსახურობდა ჯერ ბელორუსიაში, შემდეგ ირკუტსკის მახლობლად. ეროვნულ მოძრაობაში 1989 წლიდან ჩაება. იყო რუხის, უკრაინის ჰელსინგის კავშირის წევრი, პატრიოტული ორგანიზაცია „ტრეზუბის“ ლიდერი.

– იაროშმა თავი გამოიჩინა როგორც ჩინებულმა ორგანიზატორმა და მამაცმა ადამიანმა, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

იაროშს უკრაინული ეროვნული მოძრაობის სინდისს უწოდებენ. მართლაც, მის უკან არც მაფია დგას, არც სპეცსამსახურები. ის იმ მცირერიცხოვან ლიდერთა ჯგუფს განეკუთვნება, ვისაც ვერც კორუფციულ სქემებში მონაწილეობა, ვერც ოლიგარქებთან ალიანსი ვერ დაუმტკიცეს. რუსული პროპაგანდაც, რაკი მას ვერაფერი ალმოუჩინა, ცილისწამებაზე გადავიდა:

– იაროში ფაშისტია!

ამ აბსურდულ ბრალდებას თვით მეტ-ნაკლებად პატიოსანი რუსი შოვინისტებიც კი არ ეთანხმებიან. ცნობილმა კინორეჟისორმა ნიკიტა მიხალკოვმა თავის ერთ-ერთ ინტერვიუში აღიარა, რომ იაროშის ნაციზმში დადანაშაულება არასდიდებით არ შეიძლება:

– ნაციზმი ტოტალიტარულ რასისტულ იდეოლოგიას წარმოადგენს! მისი უმთავრესი მახასიათებლებია ანტი-დემოკრატიზმი, ანტი-სემიტიზმი, სოციალ-პოპულიზმი. იაროში ამ კომპონენტებისაგან ნამდვილად შორს დგას!

აღსანიშნავია იაროშის ახლო ურთიერთობები ისრაელის ელჩთან უკრაინაში. ამ უკანასკნელმა მემარჯვენე სექტორის ლიდერი ისრაელში ოფიციალურად მიიწვია. იაროშის სახელი ხშირად გაისმის როგორც რადიო „თავისუფლების“, „ბი-ბი-სი-ს“, ასევე „სი-ენ-ენ-ის“ ეთერში. დასავლელი ექსპერტების შეხედულება მის შესახებ ერთმნიშვნელოვანია:

– იაროში პატრიოტია, მაგრამ ფაშიზმისაგან ისევე შორსაა, როგორც ზეცა დედამიწისაგან.

ფაშისტად იაროშს მხოლოდ რუსეთის ხელისუფლება თვლის. რუსეთის გენპროკურატურამ მის წინააღმდეგ ექსტრემიზმის ბრალდების მუხლით საქმე აღძრა. „მემარჯვენე სექტორი“, რომლის ლიდერიცაა იაროში, რუსეთის ტერიტორიაზე აკრძალულია.

– ჩემთვის ეს დიდი პატივია! რაკი რუსეთის ხელისუფლებამ თავის ტერიტორიაზე ჩვენი ორგანიზაცია აკრძალა, გამოდის, რომ სწორი მიმართულებით ვმუშაობთ, – ამბობს იაროში.

**პოლიტიკოსი და მეომარი**

თავის ინტერვიუებსა თუ საჯარო გამოსვლებში იაროში ხაზს უსვამს იმას, რომ მხოლოდ პოლიტიკოსი კი არა, მეომარიცაა. მან ეს ჯერ კიდევ მაიდანზე დაამტკიცა.

– რომ არა „მემარჯვენე სექტორი“ და მისი ლიდერი დმიტრო იაროში, ევრო-რევოლუცია ვერ გაიმარჯვებდა, – თვლის რადიო „თავისუფლება“.

მაიდანზე „მემარჯვენე სექტორის“ გამოჩენამ ხელი შეუწყო პროვოკაციების აღკვეთასა და ხალხის ერთ მუშტად შეკვრას. დაქირავებული ხულიგნების (ე.წ. ტიტუშკები) წინააღმდეგ ბრძოლა თავის თავზე სწორედ იაროშმა და მისმა მეგობრებმა აიღეს. ისინი არც მაშინ შედრკნენ, როცა სნაიპერები გამოჩნდნენ, არც მაშინ, როცა იანუკოვიჩმა ხალხის წინააღმდეგ ჯარი გამოიყვანა.

– მემარჯვენე სექტორმა მაიდანზე წინააღმდეგობის ორგანიზება შეძლო! იაროში, როგორც ორგანიზაციის ლიდერი, პირველ რიგებში იბრძოდა, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

იანუკოვიჩი დაამხეს. ამის შემდეგ რუსეთმა პროექტ „ნოვოროსიის“ ამოქმედება სცადა. ყირიმის ანექსიას დონბასში ომის დაწყება მოჰყვა. აქაც „მემარჯვენე სექტორი“ და კერძოდ იაროში, პირველ რიგებში იბრძოდნენ. სწორედ მათი ძალისხმევით მოხერხდა პოზიციების შენარჩუნება დონეცკის აეროპორტთან, აგრეთვე პესკიში, ავდეევკაში, ლუგანსკის მახლობლად, მარიუპოლან და ა.შ. თავად იაროში ბრძოლაში დაიჭრა. შემდეგ დნეპროპეტროვსკის ჰოსპიტალში მკურნალობის შემდეგ ის კვლავ მწყობრში დაბრუნდა.

**უკრაინულ არმიას განმტკიცება სჭირდება**

ზამთრის ბრძოლებმა დონბასში ნათლად წარმოაჩინა, რომ უკრაინულ არმიაში გმირული და პატრიოტული სულია გამეფებული. უკრაინელებმაც შეუძლებელი შეძლეს, რუსების შეტევის შეკავება მოახერხეს.

– პუტინი იძულებული გახდა, პროექტი „ნოვოროსია“ შეჩერებინა. ახლა უკვე აღარც მთელი დონბასის ავტონომიის საკითხი დგას. დღეს საუბარია დონეცკის იმ ტერიტორიისათვის განსაკუთრებულ სტატუსის მინიჭების შესახებ, რომელსაც სეპარატისტები აკონტროლებენ და მათთვის მარიუპოლის გადაცემაზე, – ამტკიცებს უკრაინელი პოლიტოლოგი სერგეი ნაბოჟენკო.

ამავე დროს წარმოჩინდა ისეთი მოვლენებიც, როგორიცაა რუსული მეხუთე კოლონის არსებობა, კორუფცია, არაეფექტური მართვა, ხელმძღვანელი რგოლის არასაკმარისი პროფესიონალიზმი. უკრაინამ პუტინის გარკვეულწილად უკან დახევა ძირითადად მოხალისეთა ბატალიონების მებრძოლთა პატრიოტული ენთუზიაზმის შედეგად შეძლო. ამ ბატალიონებიდან კი, უწინარეს ყოვლისა, „მემარჯვენე სექტორის“ ფორმირება უნდა გამოვყოთ.

– ჩვენ კარგა ხანია გადავედით ნატოს სტანდარტებზე, მაშინ როცა უკრაინულ არმიაში საბჭოური პრინციპები ჯერ კიდევ შენარჩუნებულია, – ამბობს იაროში.

უკრაინული არმის განმტკიცებისათვის აუცილებელია, რათა მოხალისეთა არმიის რიგების ინტეგრირება მოხდეს, თუმცა ამას უამრავი ხელისშემშლელი ფაქტორი გააჩნია. უწინარეს ყოვლისა, უნდა გამოვყოთ ზოგიერთი მეთაურის ფრიად რთული დამოკიდებულება მოხალისეთა ბატალიონების წარმომადგენლებთან. თავისი მხრივ თავად მოხალისეთა ბატალიონების წევრებს შორისაც არაერთგვაროვანი ურთიერთობებია. ბატალიონ „აიდარის“ ზოგიერთ წევრს ბატალიონ „დონბასის“ მეთაური სემენჩენკო სძულს, ზოგს ბატალიონ „დნეპრ-2-ის“ მეთაური პარასიუკი არ ეპიტნავება. იაროში მეთაურებს შორის ერთადერთი ფიგურაა, რომელსაც როგორც ყველა მოხალისეთა ბატალიონში, ასევე არმიაშიც პატივს სცემენ.

– სამხედროებს შორის ის ძალზე პოპულარულია, რადგანაც თავს არასოდეს ზოგავდა, მუდამ ბრძოლაში პირველი გადაეშვებოდა ხოლმე. იაროში ემსახურება არა რომელიმე კლანს ან დაჯგუფებას, არამედ უკრაინას, რაც მისთვის უმაღლესი ფასეულობაა, – თვლის რადიო „თავისუფლება“.

**წინ დიდი გზაა გასავლელი**

უკრაინულ არმიას უკვე დღეს ძალუძს, რათა რუსეთის ჯარს სერიოზული ზარალი მიაყენოს, თუმცა მხოლოდ ეს უკვე აღარ კმარა. საიმისოდ, რომ ბრძოლის ველზე რუსეთის დამარცხება მოხერხდეს და უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა აღდგეს, დიდი გზაა გასავლელი. უკრაინული არმიის განმტკიცებისათვის მოხალისეთა ბატალიონების არმიაში ინტეგრირებაა აუცილებელი. დმიტრო იაროში სწორედ ის ფიგურაა, ვისაც ამისი უზრუნველყოფა შეუძლია.

ნიკა თევზაძე

## ჩინეთმა ამერიკელი პატიმარი გაათავისუფლა

ჩინეთმა გაათავისუფლა ამერიკელი პატიმარი, რომელმაც ჩინეთის ციხეებში რვა წელი გაატარა. ეს არის სიუ ფენი, ჩინური წარმოშობს ამერიკელი, რომელიც რვა წლის წინ პეკინში ჯაშუშობის ბრალდებით დააპატიმრეს და ოცი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ამერიკული მხარე ამტკიცებდა, რომ ბრალდება უსაფუძვლოა და ფენის გათავისუფლებას მოითხოვდა. ბოლო-ბოლო ჩინელებმა პატიმარი გამოუშვეს.

## შვედეთის პრეზიდენტმა 9 მაისს მოსკოვში ჩასვლაზე უარი განაცხადა



შვედეთის პრეზიდენტმა შტეფან ლევენმა 9 მაისს მოსკოვში ჩასვლაზე უარი განაცხადა. ჟურნალისტებთან საუბარში მან აღნიშნა, რომ მიზეზი უკრაინის მიმართ რუსეთის აგრესიაა.

– ნაციზმზე გამარჯვება ბოროტებაზე გამარჯვება იყო, თუმცა ბოროტება, როგორც ასეთი, ჯერ-ჯერობით დათრგუნული არაა. ის, რასაც დღეს რუსეთი აკეთებს, ჰიტლერული აგრესიული პოლიტიკის ტრადიციების გაგრძელებაა, – თქვა ლევენმა.

შვედეთის პრეზიდენტი შეუერთდა დასავლეთის იმ წამყვანი ქვეყნების რიცხვს, რომლებიც 9 მაისს მოსკოვში არ ჩავლენ.

## ბრიუსელი შეშფოთებულია

ევროკომისარმა ფედერიკა მოგერინიმ განაცხადა, რომ საბერძნეთის ახალი პრემიერის ციპრასის განცხადებით შეშფოთებულია. ციპრასმა აღნიშნა, რომ რუსეთის წინააღმდეგ სანქციების გაგრძელებას მხარს არ უჭერს.

– ციპრასი თავისი მოქმედებებით ევროკავშირის ერთიან საგარეო პოლიტიკას საფრთხის წინაშე აყენებს, – თქვა მოგერინიმ.

გერმანიის კანცლერმა მერკელმა თავის მხრივ შენიშნა, რომ საბერძნეთში არსებობს რუსეთის მიმართ ილუზიები. ოფიციალური ათენის წარმომადგენლებმაც კურსი ევროკავშირიდან გასვლისაკენ აიღეს.

– რასაკვირველია, საბერძნეთის დაკავებას ჩვენ არ ვაპირებთ. მათი უფლებაა გადაწყვიტონ, ევროკავშირში დარჩნენ თუ არა, მაგრამ თუკი საბერძნეთი ევროკავშირიდან გავა, ეს მას ახალი ბანკროტობით დაემუქრება, – აღნიშნა მერკელმა.

## ფიდელ კასტრო კვლავ გამოჩნდა



კუბის ყოფილი პრეზიდენტი საზოგადოების წინაშე კვლავ გამოჩნდა. ჰავანის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ფოტოები, სადაც აღბეჭდილია კასტროს შეხვედრა კუბაზე ოფიციალური ვიზიტით ჩასულ ვენესუელის დელეგაციასთან.

– თუმცა ფოტოზე კასტროს სახე ცუდად მოჩანს, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

## ყაბარდო-ბალყარეთში კონტრტერორისტული ოპერაცია დაიწყო

რენ-ტივის ცნობით, ყაბარდო-ბალყარეთის სოფელ ჩარეკთან კონტრტერორისტული ოპერაცია დაიწყო. მოქალაქეთა გადაადგილება შეზღუდულია.

– ამ ეტაპზე ამ საკითხთან დაკავშირებით მეტი ინფორმაცია არ არსებობს, – იტყობინება რენ ტივი.

## შიიტმა მოლაშქრეებმა ტიგრითი დატოვეს

შიიტმა მოლაშქრეებმა, რომლებმაც ქალაქი ტიგრითი ისლამისტებისაგან გაათავისუფლეს, იქაურობა დატოვეს. მიზეზი ქალაქში გახშირებული ყაჩაღობისა და ძალადობის შემთხვევები იყო.

– ისინი მოქალაქეების ბინებში დაურიდებლად იჭრებოდნენ, მიჰქონდათ ყველაფერი, რაც მოეწონებოდათ, - იტყობინება ბი-ბი-სი.

ერაყის მთავრობამაც მოლაშქრეებს ტიგრითის დატოვება უბრძანა, თუმცა ამ ბრძანების შესრულებას გარკვეული დრო დასჭირდა. ბოლოს და ბოლოს მთავრობის ძალისხმევამ შედეგი გამოიღო. მოლაშქრეებმა ტიგრითი დატოვეს.

## გერმანია: პროტესტები მემარჯვენე-რადიკალების წინააღმდეგ




გერმანიის ქალაქ ტიოგლიცში მემარჯვენე-რადიკალების წინააღმდეგ აქცია ჩატარდა. მოსახლეობა თვლის, რომ ლტოლვილთა თავშესაფარს, რომელიც ამ ქალაქში მდებარეობს, ცეცხლი სწორედ მემარჯვენე-რადიკალურმა ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ წაუკიდა.

– ეს არნახული ბარბაროსობაა! - თვლიან ტრიოგლიცის მცხოვრებლები.

გერმანულ პრესაში სულ უფრო ხშირად ჩნდება ცნობები, რომლის თანახმადაც ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას რუსეთის დაზვერვამ დიდძალი ფული გადაურიცხა. გერმანიის კონტრდაზვერვა (კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის სამსახური) ამასთან დაკავშირებით ჯერჯერობით დუმს.

## ჩეხეთის პრეზიდენტი პროტესტს გამოთქვამს

ჩეხეთის პრეზიდენტმა ზემანმა უკმაყოფილება გამოთქვა აშშ-ს ელჩის შაპიროს სიტყვების გამო. ელჩმა გააკრიტიკა ზემანი, რადგანაც პრეზიდენტი მოსკოვში 9 მაისის დღესასწაულზე ჩასვლას აპირებს:

– ამიერიდან პრაღის გრადი აშშ-ს ელჩისათვის დახურული იქნება, – თქვა ზემანმა.

ჩეხური გაზეთები გამოთქვამენ ვარაუდს, რომ ამან შესაძლოა პრაღასა და ვაშინგტონს შორის ერთგვარი დაძაბულობა გამოიწვიოს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ


## განცხადებები

**მკურნალობა**

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატესის მოწესრიგება – მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ალკოჰოლიზმისაგან გარანტირებული განკურნება მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით. ფერმენტ ალკოჰოლდეჰიდროგენეზის მიერ ხდება „პახმელიის“, თავის ტკივილის, თავბრუსხვევის, პირღებინების, ტრემორის (კანკალის), ტაქიკარდიის, ოფლიანობის, უძილობის, აგრესიულობისა და ალკოჰოლური დამოკიდებულების მოხსნა. შედეგები პირველივე დღიდან. შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში. ტელ: 557-14-22-36; 597-92-07-05. ნინო ექიმი.

● ალკოჰოლიზმისგან განკურნება მაღალეფექტური, მცენარეული, გარანტირებულად უსაფრთხო პრეპარატებით, ღვიძლის პრობლემის მოწესრიგება, „პახმელიის“ „ზაპოის“, აგრესიულობის მოხსნა (პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში). სიგარეტის გადაგდება მცენარეული ნაყენებით, ნერვული სტატუსის მოწესრიგება. 551-19-45-08: 558-20-31-35 ნანა ექიმი.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ოსტეოქონდროზის, სმენის დაქვეითების – სასმენი ნერვის ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, კიდურების დაბუჟების, რადიკულიტის, ყნოსვის დაქვეითების და დაკარგვის, კუჭ-ნაწლავის დაავადებების, ოტიტის, წითელი ქარისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. თუ განკურნებისთვის მზად ხართ, დაგვიკავშირდით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 599-97-85-46 ბ-ნი ლევანი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

# თბილისის დინამო საქართველოს თასის მფლობელია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მატჩის პირველი მეოთხედი რუსთაველებმა 25:20 მოიგეს, თუმცა ლიდერობა დიდ შესვენებამდე დაკარგეს და მესამე პერიოდიდან მცირედით ჩამორჩენილებს დეფიციტის აღმოსაფხვრელად დიდი ბრძოლა დასჭირდათ. „დინამო“ ლიდერობას არ თმობდა, „რუსთავი“ კი შანსს ბოლომდე ინარჩუნებდა, მაგრამ მხოლოდ შანსს...

„დინამო“ წარმატებით მივიდა გამარჯვებამდე, რაც გიორგი გამყრელიძესთან ერთად გარიკ შერმანის და რა თქმა უნდა, მთელი გუნდის დამსახურება იყო. გამყრელიძემ შეხვედრა 19 ქულით და 9 პასით დაასრულა, ხოლო შერმანმა თასის მფლობელებს 22 ქულა და 16 მოხსნა მიაშველა. 17 ქულითა და 10 მოხსნით დაასრულა შეხვედრა ილია ლონდარიძემ, ხოლო სერბმა მარკო პოპოვიჩმა პირად ანგარიშზე 14 ქულა ჩაიწერა. ქვემოქართლელთაგან 21 ქულითა და 15 მოხსნით საუკეთესო აკაკი დვალიშვილი იყო, მიხეილ ჭოჭუამ 18 მოაგროვა, ხოლო ჰაიდენ ჰამსმა ორმაგი დუბლი – 17 ქულა და 11 მოხსნა მიითვალა.

თასის გათამაშების გამარჯვებული დინამოელები თასის ფორმის, საგანგებოდ დამზადებული მედლებით ვეტერანმა კალათბურთელებმა – გივი ბიჭიაშვილმა და ნოდარ ქორქიამ დააჯილდოვეს.

# საქართველოს ნაკრების მეტოქეები იტალიურ ტურნირზე საბოლოოდ გაირკვა



საქართველოს საკალათბურთო ნაკრების მესამე მეტოქე იტალიის ქალაქ ტრიესტის ტურნირზე გაირკვა. მოგეხსენებათ, ევროპის ჩემპიონატის მოსამზადებელ ეტაპზე იგორ კოკოშკოვის გუნდი რამდენიმე საერთაშორისო ტურნირზე ასპარეზობს, რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე წარმომადგენლობითი ტრიესტში, 28-30 აგვისტოს გასამართი შეჯიბრია.

იტალიისა და საქართველოს ნაკრებთან ერთად ტრიესტის ტურნირში რუსეთის ნაკრებიც ასპარეზობს. აქამდე გაურკვეველი იყო ოთხთა ტურნირის ბოლო მონაწილე. როგორც იტალიური ტურნირის ორგანიზატორებმა გვაცნობეს, ტრიესტის ტურნირის მეოთხე მონაწილე ამერიკის სტუდენტური ლიგის აღმოჩენა „მიჩიგან სტეიტ სპარტანსია“. მიჩიგანის უნივერსიტეტის გუნდი ნცაა-ს ოთხთა ფინალში გავიდა და ხვალ ნახევარფინალურ მატჩში დიუკის უნივერსიტეტს დაუპირისპირდება.

მიჩიგანელებმა ამერიკის სტუდენტური ლიგის მიმდინარე სეზონში 27 მატჩი მოიგეს და 11 წააგეს. სეზონის დასკვნითი ნაწილი ტრიესტის ტურნირის მონაწილემ აღმავლობით გაიარა და ნცაა-ს ტურნირში ოთხთა ფინალში გასვლამდე მიყოლებით დაამარცხა ჯორჯიის, ვირჯინიის, ოკლაჰომას და ლუისვილის ცნობილი საუნივერსიტეტო გუნდები.

# „აია“ პლეიოფში მაინც გავიდა
## მორაგბეებმა რეგულარული სეზონი დაასრულეს

საქართველოს 25-ე ჩემპიონატში გამოვლინდა პლეიოფის მონაწილე ექვსეული და გუნდებიც დაწყვილდნენ

დასკვნითი ტურის წინ მეექვსე რჩეულის ვინაობაღა იყო გასარკვევი.

ბოლო საგზურის მოსაპოვებლად „არმაზს“ სტუმრად ბონუსით ანაც 15 ქულით უნდა ეძლია „აია“, ვინაც ამ მდგომარეობაში დებულების დარღვევის გამო აღმოჩნდა:

წინა ტურში, რუსთავთან მსაჯს „ცრუ შერკინება“ რომ შემოაღებინა, მეტოქის ენერგიული პროტესტის მიუხედავად, მოთამაშე მაინც არ მოიკლო. საკითხი კავშირის „წესრიგის კომიტეტმა“ განიხილა, „აიას“ მოგებულ მატჩში წაგება მიუსაჯა და დამატებით 1 ქულითაც დააჯარიმა.

„აიამ“ მაინც მოახერხა საპლეიოფო ექვსეულში შეღწევა, რადგან 20:5 დამარცხა „არმაზი“ და მეექვსე ადგილზე დააფინიშა, რადგან რუსთავის „ხარებს“ პირისპირ ბალანსით ჩამორჩა.

„ხარები“ მარტყოფში ეწვივნენ „ყოჩებს“. ლიდერის ქიქერებმა კარს 6 დარტყმა ააცილეს, მაგრამ გუნდმა ორი ლელო მაინც შეიტანა და საბოლოოდ 10:3 მოიგო.

„ბათუმმა“ ავჭალაში თავიდან ორი ჯარიმით გაუსწრო „ლოკომოტივს“, მაგრამ რკინიგზელებმა მაინც იმარჯვეს – 13:6, რითიც მეოთხე ადგილზე ავიდნენ და პლეი ოფს შინ გახსნის.

„არმიამ“ ბოლო მატჩი 18 კაცის ამარა გამართა, რადგან ერთი სამარქაფო პირველხაზელიღა ჰყავდა. თავიდან ჩამორჩენილი „ლელო“ ჯერ ჯარიმებით გავიდა წინ, მერე კი სინბინითაც იხეირა – 26:5.

ერთ მატჩში კი 11 ლელო დაიდო. „ჯიქმა“ გვარიანად გამოიკეთა ბალანსი და 52:21 დაამარცხა თიბიესი, რომელიც უმაღლეს ლიგას დატოვებს.

თიბიესს შეცვლის პირველი ლიგის ფალავანი „აკადემია“, „არმია“ კი დარჩენაზე ორჯერ ეთამაშება პირველ ლიგაში მეორე ადგილზე გასულ „დინამოს“.

პლეი ოფებში „ბათუმი“ დაუხვდება „აიას“, ხოლო „ლოკომოტივი“ – „ხარებს“. „ყოჩები“ და „ლელო“ პირველ ეტაპზე დაისვენებენ.

# შედეგები

## ფეხბურთი

### ინგლისი. პრემიერლიგა

ბარნლი-ტოტენჰემი ........ 0:0
სანდერლენდი-ნიუკასლი ........ 1:0

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 30 | 21 | 7 | 2 | 63-26 | 70 |
| 2.არსენალი | 31 | 19 | 6 | 6 | 62-32 | 63 |
| 3.მანჩესტერი | 31 | 18 | 8 | 5 | 55-28 | 62 |
| 4.სიტი | 30 | 18 | 7 | 5 | 62-28 | 61 |
| 5.ლივერპული | 31 | 16 | 6 | 9 | 45-36 | 54 |
| 6.ტოტენჰემი | 31 | 16 | 6 | 9 | 50-45 | 54 |
| 7.საუთჰემპტონი | 31 | 16 | 5 | 10 | 42-22 | 53 |
| 8.სუონსი | 31 | 13 | 7 | 11 | 37-39 | 46 |
| 9.ვესტ ჰემი | 31 | 11 | 9 | 11 | 41-39 | 42 |
| 10.სტოკი | 31 | 12 | 6 | 13 | 35-39 | 42 |
| 11.ევერტონი | 31 | 9 | 10 | 12 | 39-42 | 37 |
| 12.კრ.პალასი | 30 | 9 | 9 | 12 | 36-41 | 36 |
| 13.ნიუკასლი | 31 | 9 | 8 | 14 | 33-49 | 35 |
| 14.ვესტ ბრომვიჩი | 31 | 8 | 9 | 14 | 28-43 | 33 |
| 15.სანდერლენდი | 31 | 5 | 14 | 12 | 24-44 | 29 |
| 16.ჰალი | 31 | 6 | 10 | 15 | 29-43 | 28 |
| 17.ასტონ ვილა | 31 | 7 | 7 | 17 | 20-42 | 28 |
| 18.ბარნლი | 31 | 5 | 11 | 15 | 26-49 | 26 |
| 19.ქპრ | 31 | 7 | 4 | 20 | 35-55 | 25 |
| 20.ლესტერი | 30 | 5 | 7 | 18 | 29-49 | 22 |

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

რეალი-გრანადა ........ 9:1
ვალენსია-ვილიარეალი ........ 0:0
ხეტაფე-დეპორტივო ........ 2:1
სელტა-ბარსელონა ........ 0:1

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 29 | 23 | 2 | 4 | 81-17 | 71 |
| 2.რეალი | 29 | 22 | 1 | 6 | 87-27 | 67 |
| 3.ატლეტიკო | 29 | 19 | 5 | 5 | 55-23 | 62 |
| 4.ვალენსია | 29 | 18 | 7 | 4 | 52-22 | 61 |
| 5.სევილია | 29 | 18 | 4 | 7 | 53-33 | 58 |
| 6.ვილიარეალი | 29 | 14 | 8 | 7 | 43-26 | 50 |
| 7.მალაგა | 29 | 13 | 6 | 10 | 32-32 | 45 |
| 8.ბილბაო | 29 | 11 | 6 | 12 | 27-35 | 39 |
| 9.რაიო | 29 | 12 | 2 | 15 | 35-51 | 38 |
| 10.სოსიედადი | 29 | 9 | 10 | 10 | 34-38 | 37 |
| 11.სელტა | 29 | 9 | 8 | 12 | 29-32 | 35 |
| 12.ესპანიოლი | 28 | 9 | 7 | 12 | 32-37 | 34 |
| 13.ხეტაფე | 29 | 9 | 5 | 15 | 26-40 | 32 |
| 14.ლევანტე | 29 | 7 | 7 | 15 | 27-53 | 28 |
| 15.ეიბარი | 29 | 7 | 7 | 15 | 27-40 | 28 |
| 16.ელჩე | 28 | 7 | 6 | 15 | 23-52 | 27 |
| 17.დეპორტივო | 29 | 6 | 8 | 15 | 24-46 | 26 |
| 18.ალმერია | 29 | 6 | 7 | 16 | 24-46 | 25 |
| 19.გრანადა | 29 | 4 | 11 | 14 | 19-52 | 23 |
| 20.კორდობა | 29 | 3 | 9 | 17 | 20-48 | 18 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ბეტისი-ოსასუნა ........ 3:0
პონფერადინა-ლეგანესი ........ 1:1
ხიხონი-ბარსელონა ბ ........ 0:0
ნუმანსია-უელვა ........ 1:2
რასინგი-ლიაგოსტერა ........ 0:2
ტენერიფე-სარაგოსა ........ 1:1
ალკორკონი-ალავესი ........ 0:1

### გერმანია. ბუნდესლიგა

აუგსბურგი-შალკე ........ 0:0
ჰერტა-პადერბორნი ........ 2:0

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 27 | 21 | 4 | 2 | 71-13 | 67 |
| 2.ვოლფსბურგი | 27 | 17 | 6 | 4 | 60-30 | 57 |
| 3.გლადბახი | 27 | 14 | 8 | 5 | 41-21 | 50 |
| 4.ლევერკუზენი | 27 | 13 | 9 | 5 | 49-29 | 48 |
| 5.შალკე | 27 | 11 | 7 | 9 | 37-31 | 40 |
| 6.აუგსბურგი | 27 | 12 | 3 | 12 | 33-34 | 39 |
| 7.ჰოფენჰაიმი | 27 | 10 | 7 | 10 | 41-42 | 37 |
| 8.აინტრახტი | 27 | 9 | 8 | 10 | 51-54 | 35 |
| 9.ვერდერი | 27 | 9 | 8 | 10 | 41-54 | 35 |
| 10.დორტმუნდი | 27 | 9 | 6 | 12 | 34-34 | 33 |
| 11.ჰერტა | 27 | 9 | 5 | 13 | 33-44 | 32 |
| 12.მაინცი | 27 | 6 | 13 | 8 | 35-36 | 31 |
| 13.კიოლნი | 27 | 7 | 9 | 11 | 26-33 | 30 |
| 14.ფრაიბურგი | 27 | 6 | 10 | 11 | 27-36 | 28 |
| 15.ჰანოვერი | 27 | 7 | 7 | 13 | 31-44 | 28 |
| 16.ჰამბურგი | 27 | 6 | 7 | 14 | 16-41 | 25 |
| 17.პადერბორნი | 27 | 5 | 9 | 13 | 23-52 | 24 |
| 18.შტუტგარტი | 27 | 5 | 8 | 14 | 28-49 | 23 |

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ალენი-კარლსრუე ........ 2:2
დარმშტადი-ბოხუმი ........ 2:0
ზანდჰაუზენი-უნიონი ........ 1:1
ინგოლშტადი-ფრანკფურტი ........ 2:0
მიუნხენ 1860-აუე ........ 0:1
ლაიპციგი-ნიურნბერგი ........ 2:1

### საფრანგეთი. 1 ლიგა

ბორდო-ლანსი ........ 2:1
ნანტი-კაენი ........ 1:2
მარსელი-პსჟ ........ 2:3

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 31 | 17 | 11 | 3 | 58-30 | 62 |
| 2.ლიონი | 31 | 18 | 7 | 6 | 60-25 | 61 |
| 3.მარსელი | 31 | 17 | 6 | 8 | 62-34 | 57 |
| 4.მონაკო | 30 | 15 | 9 | 6 | 36-22 | 54 |
| 5.სტ. ეტიენი | 31 | 14 | 11 | 6 | 38-25 | 53 |
| 6.ბორდო | 31 | 14 | 9 | 8 | 40-38 | 51 |
| 7.მონპელიე | 30 | 14 | 6 | 10 | 42-33 | 48 |
| 8.ლილი | 31 | 12 | 8 | 11 | 30-27 | 44 |
| 9.რენი | 31 | 11 | 9 | 11 | 31-37 | 42 |
| 10.ნანტი | 31 | 10 | 10 | 11 | 25-32 | 40 |
| 11.გენგამი | 31 | 12 | 3 | 16 | 33-44 | 39 |
| 12.კაენი | 31 | 10 | 8 | 13 | 46-45 | 38 |
| 13.ნიცა | 31 | 10 | 8 | 13 | 35-39 | 38 |
| 14.ბასტია | 31 | 9 | 10 | 12 | 31-37 | 37 |
| 15.ევიანი | 31 | 11 | 3 | 17 | 34-48 | 36 |
| 16.რეიმსი | 31 | 9 | 8 | 14 | 37-53 | 35 |
| 17.ლორიანი | 31 | 10 | 4 | 17 | 34-44 | 34 |
| 18.ტულუზა | 31 | 9 | 5 | 17 | 33-52 | 32 |
| 19.მეცი | 31 | 6 | 8 | 17 | 25-44 | 26 |
| 20.ლანსი | 31 | 6 | 7 | 18 | 28-49 | 25 |

### ჰოლანდია. ეჰედივიზიონი

ალკმაარი-ფეინოორდი ........ 1:4
უტრეხტი-აიაქსი ........ 1:1
ექსელსიორი-დენ ჰააგი ........ 2:3
კამბური-იგლზი ........ 1:0

### რუსეთი. პრემიერლიგა

ზენიტი-ცსკა ........ 2:1
ურალი-როსტოვი ........ 0:1
უფა-ტერეკი ........ 0:1
არსენალი-ტორპედო ........ 1:3

### ავსტრია. ბუნდესლიგა

რიდი-შტურმი ........ 1:2

### ბელგია. პროლიგა

გენტი-კორტრაიკი ........ 2:0
მეხელენი-ბევერენი ........ 4:1

### საბერძნეთი. სუპერლიგა

პანიონიოსი-პანათელიკოსი ........ 3:0
პაოკი-ქსანთი ........ 2:1
ერგოტელისი-პანთრათიკოსი ........ 2:1
იანინა-ოლიმპიაკოსი ........ 3:1

### თურქეთი. სუპერლიგა

აკჰისარი-გაზიანთები ........ 3:0
ბურსა-ქაისერი ........ 3:0
გალათასარაი-ქარაბუქი ........ 4:2
ქონია-ტრაბზონი ........ 1:0

### ჩეხეთი. სინოტ ლიგა

ბანიკი-პლზენი ........ 0:2
ლიბერეცი-ბრნო ........ 1:0

### უკრაინა. პრემიერლიგა

ვოლინი-ზორია ........ 1:2
ილიჩოვეცი-შახტარი ........ 2:6
მეტალურგი(ზ)-კარპატი ........ 2:1

### დანია. სუპერლიგა

ჰობრო-სილკებორგი ........ 2:2
ესბიერგი-მიდტიულანდი ........ 3:3

### შვედეთი. ალსვენსკა

გიოტებორგი-ატვიდაბერგი ........ 1:0
ფალკენბერგი-გეფლე ........ 0:2
ნორჩიოპინგი-იორებრო ........ 1:1
დიურგარდენი-ელფსბორგი ........ 1:2

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ჯოკოვიჩმა მაიამის ფინალში მარეი დაამარცხა

ნოვაკ ჯოკოვიჩი წელს შესანიშნავ ფორმაშია. სერბმა ჩოგბურთელმა წელიწადი ავსტრალიის ღია პირველობის მოგებით დაიწყო და მას შემდეგ ინარჩუნებს გამარჯვებებისთვის საჭირო კონდიციებს.

მარტის ბოლოს ნოვაკმა ინდიან უელსში გამართული მასტერსის ტურნირი მოიგო. ამ ტურნირს მოსდევს ანალოგიური შეჯიბრება მაიამიში, რომელშიც გამარჯვება ისევ ჯოკოვიჩს ხვდა წილად. მაიამი ნოვაკისთვის ერთ-ერთი ყველაზე იღბლიანი ადგილია, რადგან ჯოკოვიჩმა უკვე მეხუთედ შეძლო ამ ტურნირის მოგება.

ფინალში სერბი ჩოგბურთელი თავის ძველ მეტოქეს, შოტლანდიელ ენდი მარეის დაუპირისპირდა. ბოლო პერიოდში ჯოკოვიჩი აშკარად ჩაგრავს მეტოქეს და მაიამიშიც ასე მოხდა.

პირველი ორი სეტი დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა და ხშირი იყო გრძელი გათამაშებები, რაც ამ ჩოგბურთელების შეხვედრებისთვის დამახასიათებელია. მესამე სეტში ნოვაკი მთლიანად დაეუფლა მატჩის სადავეებს და მარეის არავითარი შანსი არ დაუტოვა. საბოლოოდ, ჯოკოვიჩმა გაიმარჯვა 7-6, 4-6, 6-0.

მატჩის მერე ჯოკოვიჩი სიხარულს არ მალავდა ამ გამარჯვების გამო.

– როდესაც შენი მოწინააღმდეგე მარეია, ყოველთვის ბოლომდე უნდა დაიხარჯო კორტზე და საუკეთესო ჩოგბურთი აჩვენო, წინააღმდეგ შემთხვევაში გამარჯვება მას დარჩება. ზედიზედ ორი მასტერსის მოგება შესანიშნავი გრძნობაა და იმედი მაქვს, წელს კიდევ არაერთ ტურნირს მოვიგებ, – განაცხადა ჯოკოვიჩმა.

მარეიმ თავის მხრივ აღიარა, რომ მესამე სეტში ფიზიკური ძალა არ ეყო, რომ ჯოკოვიჩისთვის ღირსეული წინააღმდეგობა გაეწია.

– ნოვაკი ბრწყინვალე ჩოგბურთელია და მას შესანიშნავად შეუძლია მეტოქის სისუსტეების და შეცდომების გამოყენება. პირველ 2 სეტში მაღალ დონეზე ვითამაშე, მაგრამ მესამე სეტისთვის ძალები არ მეყო. მიუხედავად წაგებისა, ტურნირით მაინც კმაყოფილი ვარ, რადგან ფინალში გასვლა მოვახერხე, – განაცხადა მარეიმ.

აღსანიშნავია, რომ როჯერ ფედერერი ამ ტურნირზე მონაწილეობას არ იღებდა. შვეიცარიელმა მაესტრომ დასვენება გადაწყვიტა, რადგან ის მალე 34 წლის გახდება და ფედერერს სურს ძალები თანაბრად გადაანაწილოს.

მაიამიში, ისევე როგორც წინა ტურნირებზე, ცუდად ითამაშა რაფაელ ნადალმა, რომელმაც მეოთხედფინალამდეც ვერ მიაღწია. ბოლო პერიოდში რაფა აშკარად არ არის ჩვეულ ფორმაში და ველარ აჩვენებს იმ შედეგებს, რასაც მისგან ელის გულშემატკივარი.

შემდეგი მასტერსის ტურნირი აპრილის შუა რიცხვებში მონტე კარლოში გაიმართება.

ბ.გ.

# ბათუმში 27 წლის ფეხბურთელი ვარჯიშის დროს გარდაიცვალა




ქედის „ბეთლემის“ 27 წლის ფეხბურთელი არჩილ ფარტენაძე ვარჯიშის დროს შეუძლოდ გახდა და გარდაიცვალა.

ეს შემთხვევა ბათუმში მოხდა.

არჩილ ფარტენაძე ადრე ბათუმის დინამოს ღირსებასაც იცავდა.

აღმოჩნდა, რომ ფეხბურთელს ადრე გულთან დაკავშირებით პრობლემები აწუხებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მან ეს არ გაითვალისწინა და განაგრძო კარიერა.

სამწუხაროდ, ბოლო წლებში ვარჯიშზე ან თამაშის დროს ფეხბურთელების გარდაცვალების არაერთი ფაქტი დაფიქსირდა. 2003 წელს კამერუნელი ფეხბურთელი მარკ ვივიან ფოე ეროვნული ნაკრების თამაშის დროს მოედანზევე გარდაიცვალა. 2004 წელს ანალოგიური ბედი უნგრელმა ფეხბურთელმა მიკლოშ ფაჰერმა გაიზიარა. ფაჰერი ბენფიკაში თამაშობდა და სწორედ ამ გუნდის ერთ-ერთ შეხვედრაში ის მოედანზე უგონოდ დაეცა. მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. 2007 წელს სევილიის ახალგაზრდა ფეხბურთელი ანტონიო პუერტა მოედანზე ცუდად გახდა და რამდენიმე დღეში საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ბ.გ.

# ქართველმა ჩოგბურთელმა ისრაელში ჩელენჯერი მოიგო

ისევე როგორც ბევრი სხვა სფერო საქართველოში, ქართული ჩოგბურთიც კრიზისს განიცდის. ირაკლი ლაბაძე იყო ბოლო ჩოგბურთელი, რომელიც რეიტინგში ღირსეულ ადგილს იკავებდა და ყველაზე ძლიერი ჩოგბურთელების წინააღმდეგ თამაშობდა.

მას შემდეგ წლების მანძილზე ქართველი ჩოგბურთელი არ გამოჩენილა, რომელიც ასე თუ ისე სერიოზულ დონეზე შეძლებდა თამაშს. როგორც ჩანს, ეს ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს, რადგან ნიკოლოზ ბასილაშვილი ბოლო პერიოდში საკმაოდ კარგ შედეგებს აჩვენებს.

ქართველმა ჩოგბურთელმა გასულ კვირას ისრაელის ქალაქ რაანანაში გამართული ჩელენჯერი მოიგო და 110 სარეიტინგო ქულაც მოიპოვა, რომელიც მას მნიშვნელოვნად წაწევს წინ რეიტინგში. ამჟამად ბასილაშვილი 180-ე ადგილს იკავებს.

ფინალში ბასილაშვილმა სლოვაკი ჩოგბურთელი ლუკაშ ლაცკო დაამარცხა, რომელიც რეიტინგში 99-ე ადგილს იკავებს. ქართველმა ჩოგბურთელმა წელს უკვე რამდენიმე ატპ-ის ტურნირზეც მიიღო მონაწილეობა. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც დოჰაში იმართება, საკმაოდ პრესტიჟულია. იმ ტურნირზე ქართველმა ჩოგბურთელმა მიხაილ იუჟნის დამარცხება შეძლო, მაგრამ უკვე შემდეგ წრეში ხორვატ გიგანტ ივო კარლოვიჩთან წააგო.

ბ.გ.

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# გეი-ქორწილის მომსახურებაზე უარის მთქმელი პიცერია დაიხურა



მემორიეს პიცას თანამფლობელმა კრისტალ ო,კონორმა განაცხადა, რომ ამჟამად მისი ოჯახის წევრები ცდილობენ სახლიდან გარეთ არ გამოვიდნენ.

– მე არ ვიცი, ჩვენთვის უსაფრთხო იქნება თუ არა ჩვენი დაწესებულების ისევ ამუშავება, – განაცხადა ო,კონორმა.

მას შემდეგ, რაც მასმედიაში გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ პიცერიამ უარი თქვა მომსახურებოდა გეი-ქორწილებს, ო,კონორების ოჯახს სოციალურ ქსელებში კრიტიკის ქარიშხალი დაატყდათ თავს. გარდა ამისა, ინტერნეტში დარეგისტრირდა ვებ-გვერდი www.memoriespizza.com, რომლის ერთადერთ გვერდზე დიდი ასოებით იქნა დაწერილი „დისკრიმინაციას არა".

ამასთან ადამიანებმა, რომლებიც მხარს უჭერენ მემორიეს პიცას მფლობელებს, წამოიწყეს კომპანია, რომელიც ო,კონერებს ფინანსურ დანაკარგებს შეუმსუბუქებთ. ამ მომენტისთვის კამპანიის ორგანიზატორებმა ოჯახის დასახმარებლად 60 ათასზე მეტი დოლარის შეგროვება მოახერხეს.

# დიდ ბრიტანეთში მოხუცის სხეულის მქონე მოზარდი გარდაიცვალა



დიდ ბრიტანეთში გარდაიცვალა ჰეილი ოკინსი, რომელიც იშვიათი გენეტიკური დაავადებით – პროგერიით იტანჯებოდა. ის ხუთშაბათს, 2 აპრილს თავისი მშობლების სახლში გარდაიცვალა, რომელიც ქალაქ ბეკსჰილში (აღმოსავლეთ სასექსის საგრაფო) მდებარეობს. მისი გარდაცვალების მიზეზი პნევმონია გახდა.

დაავადება პროგერიის გამო, ადამიანის ორგანიზმი ჩვეულებრივზე რვაჯერ უფრო სწრაფად ბერდება და 17 წლის ასაკში მყოფ გოგონას 104 წლის მოხუცის სხეული ჰქონდა. ექიმები აცხადებდნენ, რომ ასეთი დიაგნოზით ოკინსი 13 წელზე მეტხანს ვერ იცოცხლებდა, მაგრამ ისინი ოთხი წლით მოტყუვდნენ. ბოლო დროს გოგონა მკურნალობის კურსს აშშ-ში ინოვაციური პრეპარატებით იტარებდა, მაგრამ მას ფილტვების ანთება დაემართა და იძულებული გახდა, სამშობლოში დაბრუნებულიყო.

14 წლის ასაკში ოკინსმა გამოაქვეყნა ავტობიოგრაფიული წიგნი, ასევე გადაიღეს დოკუმენტურ ფილმში, რომელიც ნაადრევ დაბერებას ეძღვნებოდა. გოგონა ბევრს მოგზაურობდა, ის შეხვდა პრინც ჩარლის, კაილი მინუოგსა და ჯასტინ ბიბერს.

პროგერია უიშვიათესი დაავადება, რომლის დროსაც სწრაფი ცვლილებები მიმდინარეობს, როგორც დაავადებულის კანზე, ისე შინაგან ორგანოებში. სულ ასეთი დიაგნოზით მსოფლიოსი დაახლოვებით 80 ადამიანი ცხოვრობს.

# ინგლისელი ტელეწამყვანი ტრანსციმბირული მოგზაურობით უკმაყოფილოა



ინგლისელმა ტელეწამყვანმა მეთ ბეიკერმა ტრანსციმბირული მაგისტრალით მგზავრობას თავის ცხოვრებაში ყველაზე უარესი მოგზაურობა უწოდა. ამის თაობაზე ჟურნალისტმა გამოცემა დი ინდეპენდენსთან ინტერვიუში განაცხადა. ტელეწამყვანის თქმით, მგზავრობის დროს ის კინალამ მატარებელს ჩამორჩა.

ბეიკერის თქმით, ის თანამგზავრთან ერთად მგზავრობდა, რომელიც მის მიმართ მეტად გულუხვი იყო და გამუდმებით არაყს სთავაზობდა. წამყვანის თქმით, მატარებელი მგზავრობის დროს ხშირად ჩერდებოდა.

– გაუგებარი იყო სად ვიმყოფებოდით, და ბაქანზე გავედი მუხლის გასაშლელად და სუფთა ჰაერის ჩასასუნთქად, ხოლო მთელი ჩემი ნივთები ვაგონში დავტოვე. უცბად მატარებელი დაიძრა, მე კი მარტო დავრჩი იმ სიცარიელეში, – იხსენებს ბეიკერი. ამის შემდეგ ტელეწამყვანი მატარებელს კინოფილმის გმირივით გაეკიდა და ბოლო ვაგონზე შეხტომა მოასწრო.

ტელეწამყვანის თქმით, ეს მოგზაურობა ბრიტანული ტელევიზიის ერთ-ერთი პროგრამის გადაღების ფარგლებში გაიმართა.

– თქვენ წარმო..დგინეთ, რას იფიქრებდა ჩემი გადამღები ჯგუფი მეორე დილით, როდესაც ნახავდა, რომ ჩემი ნივთები ვაგონში იყო, ხოლო თავად მე იქ არ ვიქნებოდი, – განაცხადა ბეიკერმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი
### 7 აპრილისთვის

**ვერძი** – ახალ ამპლუაში თავი მოგწონთ, სხვებსაც მოსწონხართ. **კურო** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** – ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **კირჩხიბი** – ფული გაქვთ, მალე ხელფასი მოგემატებათ. **ლომი** – არავის ენდოთ, ყური მიუგდეთ თქვენს გულს. **ქალწული** – არ აყვეთ სხვებს, თავს მიხედეთ. **სასწორი** – გააკონტროლეთ ემოციები, იყავით გაწონასწორებული. **მორიელი** – ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **მშვილდოსანი** – ახალი სამოსი და სხვა შენაძენი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **თხის რქა** – ენერგია აღდგენილი გაქვთ, ამიტომ ბევრ საქმეს გააკეთებთ. **მერწყული** – მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **თევზები** – ახალი პროექტი საინტერესო აღმოჩნდება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

*საერთაშორისო*

# ბელორუსებს საკუთარი დამოუკიდებლობის დაცვა არ სურთ




სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური კვლევების დამოუკიდებელმა ინსტიტუტმა ბელორუსში გამოკითხვა ჩაატარა. მისი შედეგები სენსაციური არ გამოდგა. შეკითხვაზე, მზადა ხართ თუ არა დამოუკიდებლობა იარაღით ხელში დაიცვათო, დადებითი პასუხი მხოლოდ 20-მა პროცენტმა გასცა, 47-მა პროცენტმა მიუგო, რომ შეეცდებოდა ახალ მდგომარეობასთან შეგუებას, დანარჩენები კი რუსეთთან გაერთიანებას მიესალმებიან.

– ის, რომ 20 პროცენტი მზადაა საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობა დაიცვას, ჩემი აზრით, დიდი მიღწევაა, – თვლის ბელორუსის დემოკრატიული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ლებედკო.

ევროპული კვლევების ინსტიტუტის დირექტორი ადამიანცი მიიჩნევს, რომ ბელორუსების ეროვნული თვითშეგნება ჯერჯერობით ბოლომდე ვერ ჩამოყალიბდა. ამას ლებედკოც ეთანხმება, თუმცა თვლის, რომ ბელორუსში ნელ-ნელა ნაციონალური თვითშეგნება იზრდება:

–„რუსკი მირის" მომხრეთა რიცხვი მცირდება, ხალხი ნელ--ნელა რწმუნდება, რომ ჩვენი მომავალი რუსეთთან კი არა, ევროპასთან კავშირშია, – ამბობს ლებედკო.

# უკრაინელი მოჭადრაკე ქალი მსოფლიო ჩემპიონი გახდა



უკრაინელი მოჭადრაკე მარია მუზიჩუკი ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ფინალში მან რუსეთის წარმომადგენელს სძლია.

– მე ძალიან ბედნიერი ვარ! დღევანდელი გამარჯვება მთელი ჩემი ქვეყნის გამარჯვებაა.

მარია მუზიჩუკი 1992 წელს ქალაქ სტრიიში (დასავლეთ უკრაინა) დაიბადა. ის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი და, აგრეთვე, მოჭადრაკე ანა მუზიჩუკის დაა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# 43-ე ბატალიონის პირადი შემადგენლობა უკვე ავღანეთშია

საქართველოს შეიარაღებული ძალების IV მექანიზირებული ბრიგადის 43-ე ბატალიონის პირადი შემადგენლობა უკვე ავღანეთშია. ბატალიონს ბაგრამის საავიაციო ბაზაზე ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში საქართველოს უფროსი სამხედრო წარმომადგენელი, პოლკოვნიკი მამუკა ქავთარაძე და აშშ-ს არმიის ტაქტიკური დაჯგუფება „სოლიდის" მეთაური, ვიცე-პოლკოვნიკი ზაქარია მილერი დახვდნენ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცნობით, ქართველი სამხედროები აშშ-ის არმიის სარდლობის დაქვემდებარებაში „მტკიცე მხარდაჭერის" სამშვიდობო მისიას 6 თვის მანძილზე შეასრულებენ.

საქართველოს შეიარაღებული ძალების IV მექანიზირებული ბრიგადის 43-ე ბატალიონი ავღანეთში, ბაგრამის საავიაციო ბაზაზე, როტაციის წესით, V ქვეითი ბრიგადის 51-ბატალიონს ჩაანაცვლებს. მისიის გადაბარების ოფიციალური ცერემონიალი ბაგრამის საავიაციო ბაზაზე მოგვიანებით გაიმართება.

43-ე ბატალიონთან ერთად სამშვიდობო მისიაში პირველად ჩაერთვება ეროვნული გვარდიის გაძლიერებული ოცეული. ქართველი სამხედროები 6 თვის განმავლობაში, „მტკიცე მხარდაჭერის" მისიის ფარგლებში, ამერიკელ საზღვაო ქვეითებთან ერთად, სრული სპექტრის ოპერაციებს განახორციელებენ. მათი მთავარი ამოცანა ბაგრამის საავიაციო ბაზის უსაფრთხოების უზრუნველყოფა იქნება.

**მედიანიუსი**



# იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ბიჭო, თუ იცი, რატომ ჰქვია მარტორქას „მარტორქა"?

– იმიტომ, რომ ტანი ბეჰემოთმა მისცა, ფეხები – სპილომ, თავი – ღორმა და მარტო რქა იყო მაგისი.

– დაიცა, კაცო, მაშინ თუ ეგრეა, გივიმ ცოლი რომ მოიყვანა, ბინა სიდედრმა უყიდა, ფული სიმამრმა მისცა, მანქანა ცოლის ძმამ უყიდა და მაგ ლოგიკით გივი რა გამოდის???

***

მასწავლებელი კლასში შესვლისა და გაკვეთილის დაწყებისთანავე მოსწავლეს დაფასთან იძახებს:

– ბიკაშვილი დაფასთან!!!

– მასწავლებელო, ჯერ სია ამოგეკითხა, იქნებ კლასში არ ვარ?!

***

ერთი მეგობარი მეორეს უხსნის:

– კლაუსტროფობია ჩაკეტილი სივრცის შიშია.

– ჰო, გასაგებია, ეგ იგივეა, მაგარ „პახმელიაზე" რომ ვარ და „პივის" საყიდლად მიმავალს რომ მეშინია, მაღაზია დაკეტილი არ დამხვდეს.

***

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– გუშინ იმხელა ქელეხში ვიყავი, რომ თამადა სკაიპით გავიცანი. ხოლო ლომონათს სანამ სუფრის ბოლოში ჩაიტანდნენ, ვადა ჰქონდა გასული.

***

სამი ქვრივი ქალი საუბრობს, ერთი დანარჩენებს მიმართავს:

– გოგოებო, მოდი, სიმართლე თქვით, რამდენჯერ ულალატეთ ქმრებს, რაც ის საცოდავები მიწას მიაბარეთ?

– ალბათ 5-6-ჯერ. ალბათ, ჩემი საცოდავი ამდენჯერ გადატრიალდა საფლავში, – ამბობს ერთი.

– მე ასე 10-ჯერ მაინც. ჩემი საწყალი გივიკო ამდენჯერვე გადატრიალდებოდა.

– მე ერთხელაც არ მიღალატია, ქალებო, ჩემი მეუღლისთვის, – ამბობს მესამე.

– რას ამბობ, ქალო, ნაწოლები არ გაუჩნდეს იმ უბედურსა...

***

ამერიკაში მყოფი ქართველი რესტორანში შევა, მაგიდას მიუჯდება და ოფიციანტად მომუშავე ქართველს ეუბნება:

– ახლა მომიტანე ქვაბში მიმწვარი ლობიო, მაგიდაზე დაახეთქე და მითხარი, აი ჩაცეცხლე!

– რატომ, კაცო?

– შინ ყოფნა მომენატრა!

***

შვილი მამას ეკითხება:

– მამი, როდესმე სკოლის მასწავლებელი თუ შეგყვარებია?

– ჰო, შვილო...

– მერე?

– მერე ის, რომ დედაშენმა გაიგო და ორშაბათიდან სხვა სკოლაში ივლი.

***

მამამ შვილი ზოოპარკში წაიყვანა. ლომის გალიასთან მისულებს, უცბად ბავშვი ეკითხება:

– მამი, უცბად ლომი გალიიდან რომ გამოხტეს და შეგჭამოს, სახლში რა ნომერ მარშრუტკას უნდა გავყვე?

***

ექიმი ავადმყოფს ეუბნება:

– მორჩა, დღეიდან შენი ღვინის დალევა არ შეიძლება!!!

– მაშინ, შენი დავლიოთ...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ძველებური მონეტების კოლექციონერი; 2. ინფექციური დაავადებათა საწინააღმდეგო, აქტიური იმუნიტეტის შემქმნელი პრეპარატი; 3. შტატი აშშ-ში; 4. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 5. „ფორმულა-1"-ში მონაწილე ესპანელი ავტომრბოლელი; 11. სასაუზმე საფრანგეთში; 12. პატარა სატვირთო-სამგზავრო ავტომობილი; 14. ბრიტანული ტაქსი; 16. იმერეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 17. სკანდალური საქციელი, გამოხდომა; 19. ქალაქ დონეცკის ძველი სახელწოდება; 21. სამხედრო-სამწყობრო ვარჯიშებისთვის განკუთვნილი მოედანი; 22. იაპონიაში ყველაზე დიდი ოსაკას აეროპორტი.

**თარაზულად:** 6. შუა საუკუნეებში ერეტიკოსებისა და მათი თხზულებების საჯარო განადგურება, დაწვა ინკვიზიციის მიერ; 7. თხზულება „აბდულმესიანის" ავტორი; 8. ზღვისპირა კურორტი ბულგარეთში; 9. თავდავიწყებით გატაცება რაიმეთი; 10. თვითმფრინავთმშენებლობის ერთ-ერთი ცენტრი ინგლისში; 13. ხელოვნური მარმარილო; 15. უნდო, ეჭვიანი ადამიანი; 18. მსხვილი საჯარისო შენაერთი; 20. პატარა ტანის ცხენი; 21. პოპულარული ოპერების, სიმღერების მოტივებისგან შექმნილი მუსიკალური ნაწარმოები; 23. გულისცემის აჩქარება; 24. ტერიტორიული ერთეული რუმინეთში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. ზღაპარი; 5. ინდრა; 7. ნელსონი; 9. რევანში; 10. კიკლოპი; 13. კარკასი; 14. კარადა; 15. ვაზა; 19. ადრიანო; 20. ილეალური; 21. კოლომბინა; 22. კისელი.

**შვეულად:** 1. ზღარბი; 2. პასატი; 3. მეთოდიკა; 4. ინდიგო; 6. რაფინადი; 8. ეშმაკი; 11. გასტროლი; 12. პანდორა; 16. მარაო; 17. ედემი; 18. მარსი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. კალა; 2. მასნე; 3. მირიანი; 4. მექა; 5. მეგან; 6. რქა; 7. სერ; 8. ბალისტა; 9. სკა; 10. პლანეტა; 11. უხა; 12. აბრისი; 13. რამ; 14. მელ; 15. ჰონორარი; 16. ლიგატურა; 17. მისის; 18. იარა; 19. ამია; 20. იორი; 21. ილჰამ; 22. ტრიბუნა; 23. არ; 24. რამო; 25. მარლონ; 26. არნოლდ; 27. რა; 28. მარინა; 29. დამანა; 30. მადამ; 31. სურდო; 32. მარაო; 33. პო; 34. ნუ; 35. ურა; 36. დრო.

**სურათებზე:** ნორკის ბატისტა; რაულ გონსალესი.

# თინა კანდელაკს ფულის გათეთრებაში ადანაშაულებენ

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ლების თარიღად – 2014 წლის 22 დეკემბერი.

ბრალდებებს თინა კანდელაკი ასე გამოეხმაურა:

– სერიოზულ კითხვებზე პასუხის გასაცემად მყავს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი ნადეჟდა ტიტოვა, რომელიც მზადაა, წარმოადგინოს საბუთები, ახსნას და დაამტკიცოს კომპანიის ნებისმიერი გადაწყვეტილება, სასამართლოშიც კი. მეც აგრეთვე მზად ვარ, ავხსნა საკუთარი ქმედებები, თუ ჩემი კომპანიის მიმართ პრეტენზიები ფაქტებით იქნება გამყარებული და სხვათა შორის, არც სასამართლოსი მეშინია. სხვა დანარჩენ შემთხვევაში, როგორც კომპანიის პრეზიდენტი, არ ვაპირებ პასუხი გავცე ისეთ შემთხვევით გამვლელებს, როგორიც ილია იაშინია. რუსეთში ყველაზე ძლიერ საკომუნიკაციო კომპანიას ვაშენებ და დრო არ აქვს, ყურადღება დავუთმო გამალიზიანებელ კომენტარებს.

ეკა ირემაშვილი

# ბათუმის თეატრს ანგრევენ

ეკა ირემაშვილი

**ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში სარემონტო სამუშაოები იწყება, ამიტომ თეატრი ფუნქციონირებას ვეღარ გააგრძელებს. როგორც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და რეჟისორი ანდრო ენუქიძე აცხადებს, თეატრში უკვე იმყოფებოდნენ ფონდ „ქართუს“ არქიტექტორები და სამუშაოები უახლოეს პერიოდში დაიწყება.**

ამის გამო, ბათუმის თეატრი სცენის გარეშე დარჩა. თეატრის დასმა, რომელიც ერთდროულად რამდენიმე პრემიერისთვის ემზადება, ჯერჯერობით არ იცის, სად გაიმართება ახალი წარმოდგენები.

ბათუმის თეატრის შენობა უკვე დაცლილია და მას რემონტისთვის ამზადებენ. თეატრის დასისთვის 10 აპრილისთვის უნდა გახსნილიყო ალტერნატიული სივრცე, რომელიც თეატრის ახალი სცენა იქნებოდა, მაგრამ სამუშაოების დასრულება ვერ ესწრება. ერთი სიტყვით, ძველი სცენა არ არის, ახალი კი არ აშენებულა.

სპექტაკლის პრემიერა ბათუმის თეატრს 15 აპრილს აქვს დაგეგმილი. სცენის არარსებობის გამო, დავით მაცხონაშვილის მიერ დადგმული საბავშვო სპექტაკლის პრემიერა ბათუმის ხელოვნების ცენტრში გაიმართება. ამ სპექტაკლის პრემიერამაც გადაიწია, რადგან თეატრს გარკვეული მიზეზების გამო პრობლემები შექმნა, რაც ფინანსებთან არის დაკავშირებული.

დავით მაცხონაშვილის გარდა, ახალ სპექტაკლზე თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და რეჟისორი ანდრო ენუქიძეც მუშაობს. სულ მალე ახალ წარმოდგენაზე მუშაობას შეუდგება რეჟისორი ზაზა სიხარულიძეც, მაგრამ არ არსებობს ადგილი, სადაც პრემიერები გათამაშდება.

როგორც ანდრო ენუქიძე ამბობს, თეატრის დასი იძულებულია, ახალი შენობის გახსნას დაელოდოს. ალტერნატიული სივრცის მოწყობა კი დაგეგმილ ვადაში ვერ დასრულდება.

როგორც სამშენებლო კომპანია აცხადებს, მათ ადგილობრივმა მოსახლეობამ არ მისცა მშენებლობის დროულად დაწყების საშუალება, რამაც სამუშაოების დასრულება დააგვიანა. მათი მიზეზები არ აინტერესებს აჭარის ხელისუფლებას. ისინი აცხადებენ, რომ პირობების დარღვევის გამო, სამშენებლო კომპანია დაჯარიმდება.

ბათუმის თეატრის ვიტრინაში უკვე გამოჩნდა აფიშა, რომელზეც წერია, რომ მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, შემოქმედებით პროცესი კი გრძელდება.

# სამგლოვიარო განცხადებები

შვილები ომარ, მზია, ნონა ცაცუები ოჯახებით იუწყებიან

**რაჟდენ ჯოჯის ძე ცაცუას**

გარდაცვალებას.
პანაშვიდი: 7, 8 აპრილს.
დაკრძალვა: 9 აპრილს, 14 საათზე.
მისამართი: დაბა წყნეთი, ზონა „ბ“, №37.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და უმაღლესი საბჭო იუწყება ღვაწლმოსილი პედაგოგის

**რაჟდენ ჯოჯის ძე ცაცუას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო იუწყება ღვაწლმოსილი პედაგოგის

**რაჟდენ ჯოჯის ძე ცაცუას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

უახლოესი მეგობრები თამაზ მეგრელიძე, ჯემალ რობაქიძე, ომარ გაბუნია ოჯახებით იუწყებიან კვების მრეწველობის ამაგდარი მოღვაწის

**თამაზ ლოლობერიძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# მებო ნუცუბიძე უკრაინულ „ვოისში“ მონაწილეობს

ეკა ირემაშვილი



ქართული „იქს ფაქტორის“ შემდეგ, მომღერალმა მებო ნუცუბიძემ უკრაინულ „ვოისში“ მონაწილეობის გადაწყვეტილება მიიღო. როგორც მებომ განაცხადა, მას თავი მსოფლიო მოქალაქედ მიაჩნია და გული წყდება, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ჩასასვლელად ვიზა სჭირდება.

უკრაინულ „ვოისში“ ქართველმა მომღერალმა ბრმა ქასთინგზე ინგლისურენოვანი სიმღერა შეასრულა, სიმღერის დაწყების პირველივე ნოტებიდან მწვრთნელები შემოაბრუნა და აცეკვა კიდეც.

უკრაინულ „ვოისში“ ქართველების მონაწილეობა უკვე აღარ უკვირთ. ოთო ნემსაძე და მეგი გოგიტიძე ამ პროექტის ცნობილი ვარსკვლავები არიან. ოთო ნემსაძე უკრაინულ „ვოისში“ ფინალისტი გახდა და მეორე ადგილზე გავიდა.

ოთო და მებო მეგობრები არიან. როგორც მებომ განაცხადა, ოთოსთვისაც სიურპრიზია მისი უკრაინაში გამგზავრება და „ვოისში“ მონაწილეობა. მებო ნუცუბიძე ქართველმა მსმენელმა ჯერ კიდევ „ჯეოსტარიდან“ გაიცნო, რასაც მოყვა „იქს ფაქტორი“. მებომ პროექტში ოთხი სკამიც მოიგო, გიორგი გაბუნიას გუნდშიც მოხვდა და ფინალისტიც გახდა, თუმცა ფინალამდე რამდენიმე დღით ადრე, მებომ პროექტის დატოვების გადაწყვეტილება მიიღო და ფინალში მონაწილეობაზე უარის თქმა იმის ახსნა, რომ მას არ ამღერებდნენ იმ სიმღერებს, რომელთა შესრულების სურვილიც თავად ჰქონდა.

# ხათუნა ჟორდანია მეწყვილემ მიატოვა

ეკა ირემაშვილი

მუსიკალური შოუს „ორი ვარსკვლავის“ ერთ-ერთი მონაწილე ხათუნა ჟორდანია თავისმა მეწყვილემ, მომღერალმა გიო ხუციშვილმა მიატოვა. ინფორმაცია ამის შესახებ ხათუნა ჟორდანიამ თავად გაავრცელა:

„ძალიან მნიშვნელოვანი დღეა ჩემს ცხოვრებაში. ვრჩები „ორ ვარსკვლავში“ მარტო, ჩემი მეწყვილის გიო ხუციშვილის გარეშე. ძალიან მჭირდება და მნიშვნელოვანია თქვენი თანადგომა. გთხოვთ დამიმესიჯოთ ჩემს კუთვნილ ნომერზე დღეში ერთი ესემესი ერთი ნომრიდან.“

როგორც მოგვიანებით გაირკვა, პროექტში დარჩენილი ყველა კონკურსანტი ამ საკონკურსო ტურში თავისი მეწყვილის გარეშე დარჩება. მათ ერთი მუსიკალური ნომრის შესრულება მარტოებს, პროფესიონალი მომღერალი მეწყვილეების გარეშე, მოუწევთ.

„ორი ვარსკვლავის“ მეორე სეზონი დასასრულს უახლოვდება. პროექტში სულ 4 წყვილია დარჩენილი: ხათუნა ჟორდანია და გიო ხუციშვილი, დაჩი კოპაძე და ანანო მჟავია, გოდერძი შარაშია და ელენე ფოჩხუა და პეჩო და მაგდა ვასაძე. მათ გამოსვლებს აფასებს ჟიური თეონა კონტრიძის, ლიზა ბაგრატიონის, დათო გომართელისა და ყოველ კვირას სპეციალურად მიწვეული სტუმრის შემადგენლობით.

# ვინ მიაყენა შეურაცხყოფა გურანდა გაბუნიას?

ეკა ირემაშვილი

მარჯანიშვილის თეატრის მსახიობ გურანდა გაბუნიას ქუჩაში ქალმა შეურაცხყოფა მიაყენა. მსახიობი ჟურნალისტთან ერთად 9 აპრილის ბაღში მეუღლის ოთარ მეღვინეთუხუცესის საფლავთან იმყოფებოდა, როდესაც იქიდან გამოსულს გარემოვაჭრე ქალმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და ბიძინა ივანიშვილთან ჩახუტებისკენ მოუწოდა.

გურანდა გაბუნიასა და გარემოვაჭრეს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

– დაანგრია ქვეყანა ივანიშვილმა. შენ ძალიან გახარებული ხარ იმისგან ალბათ და იმიტომ, რომ ალბათ ბევრი ფული მოგცათ. ახლა მე მკითხე. მათხოვრები გაგვხადა. იმან ხო გაგვხადა და ამან უარესად. რა გაგიკეთათ ამან, თვალები არ გაქვთ?

– ის უკეთესი იყო? იმან რა გაგიკეთათ, თვალები თქვენ არ გაქვთ? ხალხი რომ დახოცა?

– ***ომში ასე ყველა იხოცება.***

– ჩვენ ომი არ გვქონდა, ეს თქვენ გქონდათ ომი.

– მე ნუ მელაპარაკები ასე, ჩემი შვილი აფხაზეთში დაიღუპა და მე მეუბნები მაგას?

– მეც აფხაზეთიდან ვარ წამოსული.

– აფხაზეთიდან რომ იყო ასე არ იქნები ამ ივანიშვილზე შეყვარებული. წადი, წადი, მაგრად ჩაიკარი გულში.

**ეკონომიკა**

# ვირტუალური ვალუტის გადაცვლა უკვე ლარზეა შესაძლებელი

ბიტკოინი უკვე საქართველოს ეროვნულ ვალუტაზე, ლარზე იცვლება.

უკვე ორი კვირაა ბიტკოინის შეძენა ადგილობრივ მომხმარებელს eMoney-ს ელექტრონულ ბალანსზე არსებული თანხით შეუძლია. მომხმარებელს საშუალება ეძლევა, გაყიდოს, იყიდოს, მიიღოს და გააგზავნოს ბიტკოინები ელექტრონული საფულის საშუალებით. ბიტკოინის მისამართიeMoney-ს ყველა მომხმარებელს ავტომატურად აქვს მინიჭებული.

უკანასკნელ პერიოდში შეიქმნა უამრავი ვებ-გვერდი, სადაც შესაძლებელია გამოიმუშაოთ საკუთარი ბიტკოინები. ასეთი ტიპის ვებ-გვერდის საშუალებით, თქვენ შეგიძლიათ გამოიმუშაოთ ვირტუალური ვალუტა მარტივად, ღილაკზე დაწკაპუნებით, შემდგომ გადმორიცხოთ თქვენს eMoney საფულეში, გაყიდოთ ელექტრონულად და იშოვოთ ფული.

მომხმარებელს, რომელსაც აქვს ელექტრონული საფულე, შეუძლია eMoney-ს საშუალებით ელექტრონულად მოპოვებული ვირტუალური ვალუტები გადაცვალოს ლარებში და გაანაღდოს თანხა უამრავი მეთოდით, მაგალითად, გადაიტანოს საბანკო პლასტიკურ ბარათზე, გაიტანოს ლიბერთი ბანკის ფილიალიდან ან ბანკომატიდან, ან უბრალოდ გამოიყენოს ეს თანხა სხვადასხვა ინტერნეტ მაღაზიაში პროდუქტის შესაძენად.

ბიტკოინი 2008 წელს შეიქმნა და მისი ყიდვა ტრადიციული ვალუტის გაცვლით არის შესაძლებელი. მთავარი დამახასიათებელი ფაქტორი ისაა, რომ ბიტკოინს, რომელიმე ცენტრალური ინსტიტუტი ან ორგანიზაცია არ გამოსცემს. ის არ არის დაკავშირებული რეალურ აქტივებთან, რეალური ვალუტებისგან განსხვავებით, მის უკან არ დგას რეალური ეკონომიკა, ამიტომ, მისი ფასი მოთხოვნა-მიწოდებით რეგულირდება.

კრიპტოგრაფიული ვალუტებიდან მიმდინარე ეტაპზე ყველაზე წარმატებული და გავრცელებული ბიტკოინია. ბიტკოინის ღირებულება ძალიან ცვალებადია და ამ ცვლილების ხარჯზე ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია მოგების მიღება.

კომმერსანტ.გე

# აფთიაქი ჰიგიენური პირობების დარღვევის გამო, 500 ლარით დაჯარიმდება

„წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილება შედის, რომლის თანახმად, ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზაცია მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ მისი რეალიზაცია, შენახვა და განთავსება „აფთიაქის (სპეციალიზებული სავაჭრო ობიექტის) და საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტის სანიტარიულ-ჰიგიენურ/ტექნიკური პირობების განსაზღვრის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის სრული დაცვით ხორციელდება.

კანონპროექტი 6 აპრილს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე მეორე მოსმენით განიხილეს.

კანონპროექტის შესაბამისად, კანონმდებლობით განსაზღვრული სანიტარიულ/ჰიგიენური პირობების დარღვევის დროს, ადმინისტრაციული სახდელის ზომა დგინდება.

კერძოდ, კანონს მუხლი ემატება, რომლის მიხედვითაც, აფთიაქის (სპეციალიზებული სავაჭრო ობიექტის) და საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტის სანიტარიულ - ჰიგიენური/ტექნიკური პირობების განსაზღვრის შესახებ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული პირობების დარღვევა, 500 ლარის ოდენობით დაჯარიმებას გამოიწვევს, ხოლო განმეორებით ჩადენილი იგივე ქმედება, 1 000 ლარის ოდენობის ჯარიმასთან იქნება დაკავშირებული.

დეპუტატებმა კანონპროექტს მხარი დაუჭირეს.

ნიუსპრესი

# TV პროგრამა

**სამშაბათი
7 აპრილი**

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.15, 02.30 "პირადი ექიმი" 11.00, 03.10 "სამოთხის ვაშლები" 12.40 "სადილის დრო" 13.20 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.20 "საუკუნის პორტრეტები" 15.00, 21.00 ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" 17.00 "კომუნიკატორი" 19.30 "სიტყვების თამაში" 22.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 22.30 მხ/ფ "**გულები**" 00.30 მხ/ფ "**ნიღაბი**"

08.00, 10.10, 12.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა 10.00"გეოფაქტორი" 11.00 დ/ფ "ლანსის ლუვრის გალერეა" 14.00, 16.00 ტ/სერ "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" 15.00"ბრიფინგის დრო" (მიმდინარე დღის) ტ/სერ "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" 17.00 **ფეხბურთი** საქართველოს თასის ნახევარ ფინალი "**დინამო**" – "**სპარტაკი**" /**ცხინვალი**/ 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30"არგუმენტების დრო" 23.00"ნამდვილი დრო"

06.45 სერ. "**სიცოცხლის სიყვარული**" 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.40, ქრონიკა 10.05 სერ."**უდანაშაულო**" 11.20 სერ."**ივნისის ღამე**" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ."**ღალატი**" 16.00 სერ."**ორი ბედი**" 17.35 სერ."**ქალის ხვედრი**" 18.45, 19.03 სერ."**ნდობა**" 8 სერ. 20.55 სერ."**შურისძიება**" 22.00 ორი ვარსკვლავი 00.00 შალვა რამიშვილის შოუ 01.00 მხ/ფ "**შენ გამო**" (ი.რ. ვუდი) 02.50 მხ/ფ "**ნოკაუტი**"

06.00, 15.55 სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. "**ბედისწერა**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუადღე" 16.55 სერ. "**მოჯადოებულები**" 18.55 სერ. "**სტამბოლის ცა**" 19.55 სერ. "**ქარადაი**" 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 არჩევანი 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "ფუტკრის დუმილი" 07.05 სპექტაკლი "**ბედი ქართლისა**" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 პატერიკი 10.40 დ/ფ "არის ასეთი ქვეყანა,მას საქართველო ჰქვია" 11.00 დ/ფ "მთის მადლიანი საუნჯე"-პატრიარქი სვანეთში 11.30 ამბიონი 11.40 ღვთის სახლი 12.10 მხ/ფ "**ფესვები**" 13.25 თეთრიდან თეთრამდე 13.30 "შუადღე"ერთსულოვნებაზე 15.05 ქრისტიანული სწავლებაXXVIIIგად. 15.20 კონცერთი - გია ყანჩელი "ლიტურგია" 16.30 საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება ვნების შვიდეული -სამშაბათი 16.50 დიდი მარხვა -მამა მაქსიმე-დიდი სამშაბათი 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი ალთქმის განმარტებანი 19.20 მოკ/ფ "**უცხო**" 20.00 ღია აუდიტორია 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ისტორიის გაკვეთილი 22.00 სიახლენი 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ჩვენი საგანძური 23.40 განთიადის სტუმარი 00.30 ვნების კვირა წმინდა მიწაზე 1 ნაწ 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.30, "მაესტროს ახალი ამბები" 7.30 ანიმაცია "**კუნგ-ფუს ოსტატი**" 7.55 "საქმიანი დილა" 10.05, 11.05 **სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"** 12.30, 18.30 გადაცემა "ბიზნეს კონტაქტი" 13.35, 14.05 **სერიალი "დაკარგული დრო"** 15.35 გადაცემა "NX-სპიკერი" 16.05, 17.05 **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** 19.00 **სერიალი "ორსულობის ტესტი"** 20.05 **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 22.30 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 0.00 დოკ.ფილმი "საქართველო მე-XX საუკუნე" 1.00 **სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"**

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


7 აპრილი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.2574 | ევრო — 2.4576 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3475 | 100 რუსული რუბლი — 3.9571 |

## ამინდის პროგნოზი 7 აპრილისთვის




ეროვნული ბიბლიოთეკა

# პრინცი ჰარი ავსტრალიელ აბორიგენებთან იმსახურებს



ბრიტანეთის პრინცი ჰარი ავსტრალიის არმიაში ერთთვიან სამხედრო სამსახურს გაივლის, სადაც ტახტის მემკვიდრე საგანგებო დანიშნულების რაზმში იმსახურებს, რომელიც ძირითადად ავსტრალიელი აბორიგენებისგანაა დაკომპლექტებული. ასევე ის მოინახულებს ქალაქ პერტს და სამხედრო საჰაერო ძალების ნაწილს, რომელიც სიდნეიშია დისლოცირებული.

ავსტრალიაში პრინცს ერთი საჯარო გამოსვლა ჰქონდა დაგეგმილი, რომელიც ადგილზე ჩასვლისთანავე გაიმართა. სიდნეიდან, სადაც პრინცის თვითმფრინავი დაეშვა, ტახტის მემკვიდრე ქვეყნის დედაქალაქ კანბერაში გაემგზავრა. იქ ის უცნობი ჯარისკაცის საფლავთან ადგილობრივ მაცხოვრებლებს შეხვდა, რომელიც ყვავილებით შეამკო.

ავსტრალიელებთან ურთიერთობისას, პრინცმა უარი თქვა ადგილობრივ სკოლის მოსწავლეებთან ერთად სურათის გადაღებაზე. მან განაცხადა, რომ ვერ იტანს სელფის და მოსწავლეებს ურჩია, რომ ისინიც გადაეჩვივნენ ამ ჩვევას.

– სერიოზულად გეუბნებით, ეს უნდა შეწყვიტოთ. მესმის, რომ თქვენ ჯერ პატარები ხართ, მაგრამ სელფი – ცუდია, – უთხრა მოსწავლეებს პრინცმა.

2015 წლის იანვარში ცნობილი გახდა, რომ პრინცი სამხედრო მფრინავის კარიერის დასრუკებას გეგმავდა. მარტში ჰარიმ განაცხადა, რომ ბრიტანეთის სამხედრო ძალებსი სამსახურს ივნისში დაასრულებს. მან აღნიშნა, რომ სამხედრო სამსახურის დასრულების შემდეგ ყურადღებას აფრიკაში, საჰარის სამხრეთით ჰუმანიტარულ მისიების მონაწილეობას დაუთმობს.

ბოლო სამი წლის მანძილზე პრინცი ჰარი ავიაციაში მსახურობდა. ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრე ორჯერ ასრულებდა სამხედრო მისიას ავღანეთში.

საგანგებო დანიშნულების რაზმი, რომელსაც ერთი თვის მანძილზე პრინცი ჰარი იმსახურებს, ავსტრალიის ნაკლებად დასახლებული ტროპიკული უდაბნოს პატრულირებას ეწევა, რომლის ფართობი 1,8 მილიო კვადრატულ კილომეტრს შეადგენს. აღნიშნული დანაყოფი 1981 წელს შეიქმნა. მის შემადგენლობაში 65 მოქმედი სამხედრო მოსამსახურე და 435 რეზერვისტია.

# ინტერნეტი სექსის წინააღმდეგ



ბრიტანელი ჰეტეროსექსუალური წყვილები სულ უფრო ნაკლებ დროს უთმობენ სქესობრივ ურთიერთობას, ამის მიზეზი კი ინტერნეტია. ასეთი განცხადება კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორმა დევიდ შპიგელჰალტერმა გააკეთა.

ექსპერტმა გამოარკვია, რომ გაერთიანებულ სამეფოში, საშუალო ჰეტეროსექსუალური წყვილი სასიყვარულო ურთიერთობით თვეში მხოლოდ სამჯერაა დაკავებული. 2000 წელს ეს მაჩვენებელი თვეში ოთხს შეადგენდა, 1990 წელს – ხუთს. ეს სტატისტიკა პროფესორს მოჰყავს თავის ახალ წიგნში შეხ ბყ ჟუმბერს.

ბიბისი რადიო 4-სთვის მიცემულ ინტერვიუში შპიგელჰალტერმა აღნიშნა, რომ ასეთი ტენდენციის მიზეზების დადგენა რთულია, მაგრამ ივარაუდა, რომ ეს შესაძლოა ინტერნეტის გავრცელებას უკავშირდებოდეს. პროფესორის თქმით, მსოფლიოსთან მუდმივ კავშირზე ყოფნამ, მობილური მოწყობილობის დახმარებით, შესაძლოა ის შედეგი გამოიღო, რომ ადამიანებს ერთმანეთთან პირდაპირი ურთიერთობისთვის დრო აღარ რჩებათ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა






# თბილისის დინამო საქართველოს თასის მფლობელია



**დინამო – რუსთავი 95:87**

(20:25; 30:24; 21:17; 24:21)

საქართველოს თასის მფლობელი თბილისის „დინამო" გახდა. ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ტურნირის სატიტულო მატჩში მაყურებელმა საინტერესო ბრძოლა იხილა. მიხეილ ბერუაშვილის გაწვრთნილმა „რუსთავმა" საქართველოს თასის მოსაპოვებლად ბოლომდე იბრძოლა, მაგრამ ირაკლი ხოშტარიას გუნდმა შესანიშნავად ჩაატარა მეორე ტაიმი და პრესტიჟულ ტიტულს დაეპატრონა.

დინამოელებს გამარჯვებისკენ გაუძღვა გიორგი გამყრელიძე, რომელმაც დამსახურებულად მიიღო ფინალური მატჩის მვპ-ის ტიტული. დინამოელთა გამოცდილი კაპიტანი კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, მიხეილ გაბრიჩიძემ ფინალური მატჩის დასრულების შემდეგ გამართულ დაჯილდოების ცერემონიალზე გადასცა.

გამყრელიძემ ჩაიბარა გაბრიჩიძისგან უმთავრესი ტიტული – საქართველოს თასი, რომელიც გარდამავალია და წინა გათამაშების ფინალური ეტაპის შემდეგ ბინა ქუთაისში ჰქონდა დადებული. დღეიდან მომავალი წლის გათამაშებამდე საქართველოს თასი „დინამოს" ოფისში სხვა მრავალ ტიტულთან ერთად განთავსდება.

გაგრძელება მე-9 გვერდზე

# თინა კანდელაკს ფულის გათეთრებაში ადანაშაულებენ



ტელეწამყვან თიკა კანდელაკს, რომელიც ამჟამად ბიზნესით არის დაკავებული, ფულის გათეთრებაში ადანაშაულებენ. ოპოზიციონერი ილია იაშინი აქვეყნებს დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც თინა კანდელაკს კორუფციაში სდებს ბრალს. პოლიტიკოსი თინა კანდელაკის სარეკლამო კომპანია „აპოსტოლს" 15 მილიონი რუბლის გათეთრებაში ადანაშაულებს.

სოციალურ ქსელში უკვე გავრცელდა სპეციალური დოკუმენტი, რომლითაც ცნობილი ხდება, რომ თინა კანდელაკის სარეკლამო სააგენტომ მიიღო ძვირადღირებული დაკვეთა ახალი მოსკოვის იმიჯის შესაქმნელად. იაშინის მტკიცებით, კონტრაქტი ყალბია, რადგან მისი გაფორმების დროს დაშვებულ იქნა სერიოზული შეცდომები:

– თინა კანდელაკის კომპანიამ გაიმარჯვა ტენდერში და მას საიმიჯო კლიპისთვის გამოეყო 15 მილიონი რუბლი. როგორც წესი, კონტრაქტი ტენდერში გამარჯვებისთანავე ფორმდება, ამ შემთხვევაში კი კონტრაქტი ორ თვეზე მეტი დაგვიანებით გაფორმდა. ხელშეკრულებაში სხვა დარღვევებიც არის. სამუშაოების დაწყების თარიღად მითითებულია 2015 წლის 30 იანვარი, ხოლო დასრუ-

გაგრძელება მე-11 გვერდზე


**წვერსაპარსი PHILIPS + საჩუქარი ტრიმერი**

**45 ლარი 90-ის ნაცვლად**



- ✓ მოძრავი პირები, რომლებიც იმეორებს თქვენი სახის კონტურს;
- ✓ მოქნილი ერგონომიკა ოპტიმალური ხმარებისთვის;
- ✓ სამუშაო ძაბვა 220 ვტ;
- ✓ გასაწმენდი ჯაგრისი;
- ✓ აკუმულატორი;
- ✓ მოჰყვება დამტენი;
- ✓ დატენვის ინდიკატორი;
- ✓ ბაკების გასასწორებელი;
- ✓ ორმაგი უჟანგავი რკინის პირი;
- ✓ მუშაობს შიდა აკუმულატორზე;
- ✓ ტრიმერი ბაკების და ულვაშების გასასწორებლად;

**ტიტანის სამკურნალო სამაჯური**

**35 ლარი 60-ის ნაცვლად**



არეგულირებს არტერიულ წნევას, ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა და თავის ტკივილს, აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას, ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას, არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში, არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, არ იწვევს ალერგიას.

**შეიძინეთ Mozer-1800 – პროფესიონალი გერმანული თმის საკრეჭი!**

**45 ლარი 95-ის ნაცვლად**




ძრავი: 6 000 ბრ/წთ
ხმაურის დაბალი დონე;
საწმენდი ჯაგრისი, დანების ზეთი;
ხუთი საკრეჭი თავი
მასალა - უჟანგავი ფოლადი.

მაღაზია Stop&Shop
დარეკეთ წინასწარ! ☎: 2-182-186.
მის: ვაჟა-ფშაველას №79.


## კროსვორდი ა



**შვეულად:** 2. უსწავლელი, უვიცი ადამიანი; 3. გულისნადები, საიდუმლო; 4. ნივთიერება, რომელიც დენს არ ატარებს; 5. კვირა დღის ქართული სახელწოდება; 6. ბენტონიტური თიხის საბადო გურიაში; 8. სახალხო დღესასწაული ესპანეთსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში; 11. მსხვერპლად შეწირული რამ; 14. თირკმლისზედა ჯირკვლის გამომუშავებული ჰორმონი; 15. კაფე-ბარი საცეკვაო მოედნით; 16. ხელოვნურად მიღებული რადიაქტიური ელემენტი; 17. ტაივანის დედაქალაქი; 19. იტალიური რესტორანი; 21. სურნელოვანი ბოსტნეული მცენარე; 22. ტყის ხილი.

**თარაზულად:** 1. მრავალსართულიანი კარსტული მღვიმე იმერეთში; 5. მუსულმანთა წმინდა ქალაქი არაბეთის ნახევარკუნძულზე; 7. ჩხიკვის მეორე სახელწოდება; 9. სისხლის შემსწავლელი მეცნიერება; 10. დაბა ბოლნისის რაიონში; 12. უფლისწულის ტიტული ესპანეთში; 13. ტურისტთა კაპიუშონიანი ქურთუკი; 16. ქართველი მოქანდაკე, როდენის მოწაფე; 17. პარაზიტი მკბენარა მწერი; 18. პოპულარული ბალ-რესტორანი ძველ თბილისში; 20. მოსაჭრელი ტყის ხარისხიანობის მაჩვენებელი; 22. ნაქსოვი ფეხსამოსი; 23. მონასტერი სტეფანწმინდას რაიონში; 24. სტადიონი ლონდონში; 25. დაპყრობილი ტერიტორიის მონღოლი მმართველი ძველად.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა